სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 ივლისი 2008 №162 (3386) ფასი 50 თეთრი

ჩემპიონთა ლიგის მშობლიური ეტაპი

გავუფრთხილდეთ ქართულ ტრადიციას: ფარერელებს შინ მუდამ ვამარცხებთ

საუეფასთასო ქართველობა

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ „ვიტ ჯორჯია“ გუშინ გაემგზავრა სლოვაკეთში, „ზესტაფონმა“ კი უნგრეთისკენ დღეს აიღო გეზი და ეს ფეხბურთელები იახლა:

მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე, ლევან გორდეზიანი;

მცველები: შალვა ღონღაძე, სევასტი თოდუა, ბოიომო ფრიდოლინი, ედსონ ოლივეირა დოს სანტოსი, უჩა ლობჟანიძე, კარენ მაკარიანი;

ნახევარმცველები: როინ ონიანი, ჟილვან ვიეირა, ირაკლი ძარია, ნიკა კვასხვაძე, ნიკა სტეფანიშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, მურთაზ დაუშვილი;

თავდამსხმელები: ზურაბ იონანიძე, ერიკ რომეო ჩასემი, ნიკა გელაშვილი, ბექა გოცირიძე.

ზესტაფონელთა მატჩი ხვალ თბილისის დროით 22.00 საათზე დაიწყება.

იმერელთა გუნდში საეჭვოა ნიკა სტეფანიშვილის თამაში, რომელმაც „გაგრასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო.

დღეს საუბარი, ხვალ სიტყვა

ექტორ რაულ კუპერმა ფოლკერ ფინკეს ფავორიტობა შეარყია

ზიკო: 3 000 000

ამ რამდენიმე დღის წინ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის ალბათობა სხვა კანდიდატებთან შედარებით მცირე იყო.

ფოლკერ ფინკე და ავრაამ გრანტი — პოსტის დაკავების ფავორიტები ესენი გახლდნენ. იყო ზიკოს ვარიანტიც, ოღონდ, ძალიან ძვირიაო, ესეც ითქვა, თუმცა კონკრეტული თანხის დაუზუსტებლად.

გუშინ კი ვითარება რამდენადმე შეიცვალა და უკვე ხვალ, შესაძლოა, სწორედ „ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორგზის გამყვანი კუპერი იქცეს მთავარ ფავორიტად. ეს ამბავი პირველწყაროდან, საფეხბურთო აგენტ აკა ტონიასგან შევიტყვეთ, ვინაც ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით ესაუბრება არგენტინელს.

ესეც ტონიამ გვითხრა: ზიკოს წელიწადში სამი მილიონი ევრო მოუთხოვია.

რონალდინიოს მილანელობას ოდენ ხელმოწერა აკლია

გუშინ საღამოს „გაძეტა დელო სპორტმა“ რონალდინიოსა და „მილანის“ გულშემატკივრებს ამცნო: ერთი დღეც და, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი მილანურ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებსო.

რონალდინიოს მილანში თავად კლუბის ვიცეპრეზიდენტი ადრიანო გალიანი ჩაიყვანს, ვინაც ბოლო ორი დღე ბარსელონაში იმყოფებოდა ხუან ლაპორტასთან მოსალაპარაკებლად.

როგორც ითქვა, გარიგების ღირებულება 18,5 მილიონი ევროა, არადა, ფეხბურთელის მეორე მოსურნე „მანჩესტერ სიტი“ 32 მილიონს იხდიდა. ჩანს, ფასში ამხელა სხვაობა, თავად რონალდინიოს სურვილმა გადასწონა, გული მილანისკენ რომ მიუწევდა. რატომაც არა: კლუბიც დიდია და წელიწადში 6,5 მილიონიც არ არის ურიგო ჯამაგირი...

მათე ბიჭი ვარჯიშობს და მალე ითამაშებს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი და ეროვნული ნაკრების მცველი მათე ღვინიანიძე ტრავმებმა მაგრად აწვალეს. 21 წლის ღვინიანიძემ წლეულს ორჯერ გაიკეთა მენისკის ოპერაცია — პირველი ოპერაციის შემდეგ ტრავმა გაუმიზეზდა და იმიტომ.

როგორც თვითონ მათემ გვითხრა, ექიმებმა მაშინ ნაადრევად დააწყებინეს დატვირთვების მიღება.

მათეს „მიუნხენ 1860"-მა კი ბოლო თვეში რამდენიმე ტესტ-მატჩი გამართა, თუმც ქართველის გარეშე. კარგია, რომ უთამაშებლობის პერიოდი დიდხანს აღარ გასტანს — საქმე ისაა, რომ ღვინიანიძე „ლომებს" ავსტრიაში ახლავს შეკრებაზე და სრული დატვირთვითაც ვარჯიშობს.

როგორც შევიტყვეთ, მეორე ბუნდესლიგის დასაწყისი ქართველ მცველს არ გაუცდება.

ილია ნანოგაშვილი

ლილუაშვილი აგებს, მაგრამ ამწვავებს

სლოვაკური „ნიტრას" ფორვარდი ირაკლი ლილუაშვილი სეზონისწინა შეკრებაზე კარგად გამოიყურებოდა, გოლებიც გაიტანა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ძირითად შემადგენლობაში ხშირად მოუწევს თამაში.

„ნიტრა" მორიგ ტესტ-მატჩში 0:1 დამარცხდა ჩეხურ „ოპავასთან" და მართალია, ლილუაშვილი მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე, სლოვაკური კლუბის ვებგვერდი წერს, ქართველმა აშკარად გაამწვავა თავისიანთა თამაშიო.

ილია ნანოგაშვილი

ნოდია მიკას მწვრთნელად

ვეტერანი ფეხბურთელი ლევან ნოდია ერევნის „მიკას" მწვრთნელად დაინიშნა — ის იშტვან სეკეჩთან ერთად გაწვრთნის გუნდს.

სეზონის დასაწყისში ნოდია „მიკას" სპორტულ დირექტორად მიიწვიეს, ხოლო მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი არკადი ანდრეასიანი ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადადგა, ნოდიას მწვრონელობა შესთავაზეს და ისიც დათანხმდა.

შეგახსენებთ: „მიკაში" თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი თავდამსხმელი ზაზა სახოკია ირიცხება.

ერევნული კლუბი სომხეთის 8-გუნდა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

პირველი ლიგა არ მინდა!

გიორგი ფოფხაძე აგენტს დაშორდა



გიორგი ფოფხაძე „ვიბორგის" ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, დანიის სუპერლიგის გუნდიდან რომ იწვევენ, თუმც ერთია მიწვევა, მეორეა ტრანსფერის განხორციელება — „ვიბორგი" 21 წლის ქართველ მცველს ვერ ელევა, არადა, ჩვენიანს პირველ ლიგაში თამაში არ სურს. უფრო ზუსტად თვითონ ფოფხაძე გვეტყვის, რომელიც „ვიბორგის" ფანების გამოკითხვით, წინა სეზონის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა...

— არ მიშვებენ „ვიბორგიდან", თორემ წასვლა როგორ არ მინდა... აქ კონტრაქტით წელიწადნახევარი მაქვს დარჩენილი და მეუბნებიან, თუ გაგყიდით, სოლიდურ ფასადო.

— რომელი კლუბები გიწვევენ?

— დანიის სუპერლიგის ოთხი გუნდია: „ოდენსე", „ბრონდბიუ", „ვეილე" და „ორჰუსი". „ბრონდბიუს" ჩემი და „ვიბორგის" მარჯვენა ნახევარმცველის შეძენა ერთად სურს, „ორჰუსს" კი ამასწინად ვეთამაშეთ, 2:1 მოვუგეთ და მათი მწვრთნელი მელაპარაკა თამაშის შემდეგ.

— დაახლოებით რამდენად გაფასებს „ვიბორგი"?

— სულ ცოტა, მილიონნახევარ ევროდ. რას ვიზამ, თუ არ გამიშვებენ, დავრჩები წელიწადნახევარი და მერე თავისუფალი აგენტი ვხდები. „ვიბორგი" აქამდე არ მიიყვანს საქმეს, უფრო მგონია, რომ ნახევარ წელიწადში ან ერთ წელიწადში მოისურვებენ ჩემს გაყიდვას, რათა ფული მიიღონ.

— პირველ ლიგაში თამაშის პერსპექტივა არ გხიბლავს, ეს გასაგებია...

— ფაქტობრივად, დამეკარგება ეს სეზონი. პირველ ლიგაში თამაში არ მინდა-მეთქი, ეს დიდი ხნის წინ გამოვუცხადე „ვიბორგს", მაგრამ ამათ ფინანსური მოგების ნახვა სურთ ჩემგან. არა მგონია, მილიონნახევრადაც გამიშვან. ახლა მარტო ვაგვარებ ამ საკითხს, რადგან მენეჯერი აღარ მყავს.

— რატომ?

— მე და დავით სირაძეს საერთო მენეჯერი გვყავდა. ისე შევატყვე, არ ცდილობდა ჩემთვის უკეთესი ვარიანტის გამონახვას. მირჩია, „ვიბორგთან" ახალ კონტრაქტს მოაწერე ხელიო. ამიტომ, დავშორდი მას.

— გუნდიდან წასვლა რომ გსურს, ამის გამო „ვიბორგში" უკვე ცუდი თვალით ხომ არ გიყურებენ?

— ზოგადად, გუნდი მეგობრულია, თუმც უკვე ვატყობ, ხელმძღვანელობას მაინცდამაინც აღარ ვუყვარვარ. აქედან ცუდად წასვლა არ მინდა. პირიქით, მადლობელი ვარ ყველასი — განსაკუთრებით გულშემატკივრების, რომლებმაც გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად მაღიარეს. შევეჩვიე კიდეც აქაურობას, მაგრამ პირველ ლიგაში თამაში არ მინდა, ამით საქართველოს ნაკრებში მოხვედრის შანსიც შემიმცირდება.

— „ორჰუსიც" მიწვევსო, თქვი. ამ გუნდში, შესაძლოა, დავით დევდარიანი გადავიდეს...

— ვიცი, ჩვენთან არ უთამაშია ამხანაგურში, თუმც გავიგე, რომ „ორჰუსის" მწვრთნელს მოსწონებია, საკმაოდ ნიჭიერიაო.

ილია ნანოგაშვილი

გოგუა ჯანმრთელია

ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველმა ლეგიონერმა გოგიტა გოგუამ, რომელმაც ორი ტური ავადმყოფობის გამო გამოტოვა, გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობასთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მომდევნო ტურში სამარის „კრილია სოვეტოვთან" გასამართი შეხვედრისთვის ემზადება.

ცენტრალური მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი კი „სპარტაკს" ვერ დაეხმარება — წინა ტურში „ტომთან" მატჩში თავი გაიტეხა და 10 ნაკერი დაადეს.

კახა შალამბერიძე

ხიზანიშვილის ცალი ტაიმი

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა" „მაკლსფილდთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 2:1 იმარჯვა.

ბლექბერნელთა ახალმა თავკაცმა პოლ ინსმა გუნდი სხვადასხვა შემადგენლობით ათამაშა და ქართველი მცველი მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა.

ბლექბერნელთაგან გოლები დევიდ დანმა და პოლ გალაჰერმა გაიტანეს.

კახა შალამბერიძე

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ბატე (ბელარუსი) 2:0 **ვალიური** (ისლანდია)
1:0, 2:0 ბლიზნიუკი (73, 78)

ინტერი (აზერბაიჯანი) 0:0 **რაბოტნიჩკი** (მაკედონია)

ტამპერე (ფინეთი) 2:1 **ბუდუჩნოსტი** (ჩერნოგორია)
1:0 ნიემი (25), 2:0 ჯეიმსი (52პ), 2:1 ბეგირაჯი (87)

ანორთოსისი (კვიპროსი) 1:0 **პიუნიკი** (სომხეთი)
1:0 ფრუსოსი (72პ)

დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 **დომჟალე** (სლოვენია)
0:1 ბენკო (47)

ლანელი (უელსი) 1:0 **ვენტსპილსი** (ლატვია)
1:0 ჯოუნსი (20)

დინამო (ალბანეთი) 0:2 **მოდრიცა** (ბოსნია)
0:1 მილიკოვიჩი (65), 0:2 სტოიკოვიჩი (80)

ვალეტა (მალტა) 0:2 **არტმედია** (სლოვაკეთი)
0:1, 0:2 ჩისოვსკი (79, 80)

მშრატა (სან მარინო) 0:5 **გიოტებორგი** (შვედეთი)
0:1, 0:2 სიგურდსონი (20, 26), 0:3 ვერნბლომი (31), 0:4 იონსონი (56), 0:5 სელაკოვიჩი (87)

სანტა კოლომა (ანდორა) 1:4 **კაუნასი** (ლიტვა)
0:1 პილიბაიტისი (10), 0:2 ლედესმა (28), 0:3 პილიბაიტისი (40), 1:3 სორია (56), 1:4 ლედესმა (80)

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

გაის 3:1 ლიუნგსკილე

ჰელსინგბორგი 2:1 აიკ

ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

ბრეი 0:2 ბოჰემიანსი

შკრაინა

სუპერთასი

შახტარი 1:1 (4:2პ) დინამო

ამხანაგური მატჩები

ზლინი 2:1 სუინდონი
ბოხუმი 1:3 კლუჟი
ბოტაფოგო 2:1 გიმარაეში
გულონი 1:1 ჰსჟ
ცსკა (ს) 0:1 ტილბურგი
დენ ჰაააგი 1:1 ტელსტარი
ჰაარლემი 0:2 უენსდი
ლიტექსი 1:1 ანდერლეხტი
ვუპერტალი 3:0 შალკე
მორტონი 1:1 ჰარტლპული
ბაროუ 0:2 მორეკემბი
კემბრიჯი 1:1 კემბრიჯ იუნ.
დანდი 0:0 აბერდინი
ფორესტ გრინი 0:2 რედინგი
ლინკოლნი 3:1 ასტონ ვილა
რეითი 0:0 ჰიბერნიანი
საუთენდი 0:2 ფულემი
სოთპორტი 2:2 ჩესტერი
სენტ ალბანსი 0:1 ბარნეტი
იანგ ბოისი 3:2 ვოლფსბურგი
სტიაუა 1:0 ბეშიძთაში
აუგსბურგი 1:4 შტუტგარტი
ზალაეგერსეგი 1:1 ნაპოლი
ლევსკი 5:0 ვაშაში
ოლდემი — სერკლი გადაიდო

ჩემპიონთა ლიგა 2008–2009

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ფარერელთა ვარჯიშში, ცხადია, განსაკუთრებული ვერაფერი ვნახეთ

ეროვნული ფარერელებმა კი არა, წვიმამ დაასველა

თბილისი. 16 ივლისი. 18 საათი. ეროვნული

დინამო — რუნავიკი

მსაჯები: ნინოსლავ სპასიჩი, ვლადიმირ იოვანოვიჩი, სედომირ მილიჩი, მილორად მაჟიჩი (ყველა სერბეთი); **უეფას დელეგატი:** ანდრეას აკელიდესი (კვიპროსი); **დამკვირვებელი:** სტეფან ორმანჯიევი (ბულგარეთი)

უკაცრავად და, ფარერების ნაკრებსა თუ რომელიმე გუნდს ჩვენს ეროვნულ სტადიონზე რამდენიც უვარჯიშიათ, იმდენი სადღაც კედელთან მიუშარდავთ კიდეც...

„დინამოს“ სადღეისო მეტოქის, „რუნავიკის“ ვარჯიშიც უსაქციელობის გამო თუ იქნებოდა საინტერესო, თორემ ბევრი დიდი გუნდის შემსწრეთ, კურძულელთაგან რა უნდა გაგკვირვებოდა?!

„რუნავიკის“ ფეხბურთელები თვისტომთაგან განსხვავებით, კულტურულები გამოდგნენ, თავიანთ მწვრთნელებ-პერსონალიანად სულ 20 კაცით დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშეს. ქართველი ქომაგების შეძახილებს ტაშით უპასუხეს და სასტუმროს მიაშურეს. იქამდე კი ერთი დაიბარეს და გასაკვირი არც მათ სიტყვებში არაფერი ყოფილა — ცხადია, ჩვენს წყვილში ფავორიტი თბილისის „დინამო“ არის, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით, მეტოქეს საქმე გავურთულოთ და მომდევნო ეტაპზე გავიდეთო.

„რუნავიკის“ გუშინდელ ვარჯიშზე კი მხოლოდ ის გვეთქმის, რომ სტუმრებმა მთელი დრო მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის გათამაშებას დაუთმეს და ნორმალურად არც ეს გამოსდიოდათ. როგორც სტუმრებმა გვითხრეს, ისინი თბილისში ერთი მეკარის ამარა ჩამოსულან და თუ არავინ „დაუმალავთ“, ალბათ სამატჩო 18-კაციან განაცხადს ბოლომდე ვერც შეავსებენ...

...ასეთ გუნდთან უნდა ითამაშოს დღეს საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“.

შეგახსენებთ, ეს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი იქნება და ჩვენც ჩვენების უპირობო გამარჯვების მოლოდინში ვართ. მართალია, დინამოელთა ახალ თავკაც რაინერ ცობელს საკადრო პრობლემები აქვს, მაგრამ მაინც, „დინამომ“ დღეს დამაჯერებლად უნდა მოიგოს.

...გერმანული შეკრებიდან დაბრუნებულმა დინამოელებმა თან ახალი, ისევ „იაკოს“ სამოსი ჩამოიტანეს, ის ბურთებიც, რითაც ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდნენ და ახალი ვარჯიშებიც, რაც გუნდში რაინერ ცობელმა მოიტანა.

გერმანული დისციპლინის თვალსაჩინო მაგალითიც: „რუნავიკის“ ვარჯიშის დასრულებამდე სამი-ოთხი წუთით ადრე მოედანზე „დინამოს“ მეკარეთა მწვრთნელი გელა ჭანტურია გამოჩნდა, შემდეგ ცობელის თანაშემწე კახა კაჭარავა, მეტოქის წასვლის მერე კი თავად ცობელიც ამათ გვერდით დადგა... მწვრთნელები მოედანზე მიდი-მოდიოდნენ, ტრიბუნაზე მყოფთათვის სასტვენის ხმა მოისმა და „დინამოც“ წამში მოედანზე გაჩნდა... დანიშნულ დროს, ზუსტად შვიდ საათზე რაინერ ცობელმა ჩასტვინა და შეგირდებიც მის გარშემო შეიკრიბნენ. თქვენ წარმოიდგინეთ და, იქამდე მთელი გუნდი თურმე გასახდელებიდან მოედნისკენ მიმავალ გვირაბში იდგა. დაგვეთანხმებით, დისციპლინა აუცილებელი და უმეტეს შემთხვევაში, კარგის მომასწავებელია.

ვარჯიშის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში კი „დინამოს“ სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო გამოეყო. „დინამოს“ ლეგიონერმა მწვრთნელთან ორიოდ წუთი ისაუბრა და ვარჯიში ცალკე განაგრძო.

„კრშკოს მყესები დაეჭიმა და „რუნავიკთან“ სამატჩო შემადგენლობაში ალბათ გარკვეული კორექტივების შეტანა მოგვიწევს“ — თქვა რაინერ ცობელმა ვარჯიშის დასრულებისთანავე...

— ვფიქრობ, „დინამოსთვის“ ეს წლის მატჩია. „რუნავიკი“ ეგებ ფურცელზე იყოს უსახელო გუნდი, მაგრამ რეალურად მათ წინააღმდეგ სრული მობილიზაციითა და მთელი ძალით თამაში გვმართებს — თქვა შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელმა — ზოგადად, ფეხბურთში ყველაზე დიდი შეცდომა მეტოქის შეუფასებლობაა, ეს ვიცი და ამიტომაც ჩემს ბიჭებს 90 წუთის განმავლობაში მაქსიმალურად ყურადღებით თამაშს დავავალებ, ასევე [illegible]ნება ყველა შეხვედრისას.

— „დინამო“ „რუნავიკს“ შეუტევს, მაგრამ როგორ, უმეტესად რომელი ფლანგიდან, ვერ გეტყვით. ჩ[illegible]ენი შემადგენლობა კი დაახლო[illegible] ისეთივე იქნება, როგორც აქ[illegible]

— ქომაგების იმედი მაქვს[illegible]დია, „რუნავიკთან“ შეხვედრის[illegible]ვრი გულშემატკივარი მოვა ს[illegible]

[illegible]ონზე და მათთან ერთად გა[illegible]ჯვებთ.

— მათე ვაწაძე ჯერ კიდევ [illegible]რჯიშებელია და ვატყობ, საუ[illegible]ესო ფორმაში არ არის. თუმცა [illegible]საძლებელია, მან „რუნავიკთან[illegible] წუთი მაინც ითამაშოს.

მოკლედ, დღეს 18 საა[illegible] „[illegible]ამო“ ფარერების ჩემპიონ[illegible]იკს“ დაუხვდება. ჩვენ სო[illegible] მოგებას ველით და დანარჩ[illegible] მოედანზე ვნახავთ. ისე, [illegible]ლებს საქართველოს ნაკრებ[illegible]ტჩიც თუ გაახსენდებათ ფარე[illegible]ის წინააღმდეგ, კარგი იქნებ[illegible] იქნებ „ლოკომოტივი“ — „ეტ[illegible]ას“ ამასწინანდელი შეხვედრ[illegible]ოს მათთვის მაგალითი და...

კოგა ინასარიძე

ფოლკერ ფინკე თუ ექტორ რაულ კუპერი?

აკა ტონია არგენტინელს გვპირდება

აკა ტონია

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად გერმანელი ფოლკერ ფინკე კი ითვლება, მაგრამ ხვალ ის შეიძლება სახელოვანმა არგენტინელმა ექტორ რაულ კუპერმა ჩაანაცვლოს.

ვითარება ასეთია: არგენტინელ მწვრთნელთან მოლაპარაკებას, უკვე რა ხანია, ფიფას ლიცენზირებული აგენტი აკა ტონია აწარმოებს და ეს საქმეც უკვე დასასრულისკენ არის. თავად აკა ტონიას თქმით, კუპერმა საბოლოო პასუხი, ჩამოვა თუ არა სამუშაოდ საქართველოში, ხვალ უნდა თქვას. არგენტინელ მწვრთნელს, რომელსაც, ცხადია, ჩვენების გარდა სხვადასხვა კლუბებიდან და ფეხბურთის ფედერაციებიდან უკავშირდებიან, ტონიამ ქართული მხარის პირობები დაახლოებით უკვე გააცნო და როგორც გავიგეთ, ამ წინადადებისგან არც კუპერს უჭირავს თავი შორს.

აკა ტონია მოლაპარაკებებს აწარმოებდა ასევე სახელოვან ბრაზილიელ ზიკოსთანაც, მაგრამ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელად მისი დანიშვნა უკვე გამოირიცხა. ზიკომ ნამეტანი ბევრი — წელიწადში 3 მილიონი ევრო მოითხოვა.

ახლა კი კუპერის სიტყვას ველით. ტონია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს დღეს დააკავშირებს მწვრთნელთან და ვნახოთ, რა გამოვა... ისე, ამ საქმესთან დაკავშირებით ფედერაციაც და აგენტიც იმედიანად არიან და, კაცმა რომ თქვას, კუპერი ფინკეზე წარმატებული და სახელოვანი მწვრთნელიც არის.

კოგა ინასარიძე

ექტორ რაულ კუპერი

ვიტ ჯორჯია თეთრ ანგელოზებთან ჩავიდა

ბუნაგი დღეებია ვეძებეთ ფოტო

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ გუშინწინ ღამე გაფრინდა სლოვაკეთში, ტრნავას ოთხვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა და გუშინ შუადღით პირველი ვარჯიშიც გამართა. დღეს ნესტორ მუმლაძის გუნდი ანტონ მალატნინჩენკოს სტადიონზე 20 საათზე ივარჯიშებს, ხვალ კი...

ხვალ მატჩია და ვნახოთ, როგორ გაუძლებს „ვიტ ჯორჯია“ ტრნავას „სპარტაკთან“ გამოცდას. ვიტელებს კენჭისყრაში არ გაუმართლათო, ვერ ვიტყვით — უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სავარაუდო შემხვედრთა შორის ბერლინის „ჰერტა“, „აუსტრია“ და „ზალცბურგიც“ იყვნენ.

არც შემადგენლობით, არც სლოვაკეთის ჩემპიონატში და ამხანაგურ მატჩებში ნაჩვენები შედეგებით, ტრნაველი „თეთრი ანგელოზები“ გადაულახავ გუნდს არ ჰგვანან.

ნესტორ მუმლაძემ საღ-სალამათი შემადგენლობა წაიყვანა ტრნავაში. აი, ეს 18 ფეხბურთელიც:

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე;

მცველები: გიგა ბეჭვაია, ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე, ამირან ყველაშვილი, დავით ხურცილავა;

ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე, გიორგი დათუნაიშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი მელქაძე, გიორგი კვაღინიძე, დავით მაისაშვილი;

თავდამსხმელები: გიორგი ბერიაშვილი, ვასილ ღუჭაშვილი, ჯაბა ლიპარტია, ვახტანგ კვარაცხელია.

ილია ნანობაშვილი

არ გაწყენინებთ!

როინ ონიანის ზესტაფონს ზესტაფონის ეიმედება

„ზესტაფონმა“ თურქული შეკრება მოიარა და დღეს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრულ „დიორ ეტოსთან“ სათამაშოდ გაემგზავრება.
როგორ გაიარეს შეკრება და რა განწყობაა გუნდში, ამის თაობაზე ყველაზე უკეთ კაპიტანმა უნდა იცოდეს და ჩვენც იმერელთა ერთ-ერთ ლიდერ **როინ ონიანს** გავესაუბრეთ...



— მზადყოფნით კმაყოფილი ხარ?

— მთლიანობაში, კი. თურქეთში მესამე შეკრება გავიარეთ — პირობები კარგი იყო. კმაყოფილნი ვარ.

— სამაგიეროდ, ტესტ-მატჩები გქონდათ ცოტა...

— ორი მატჩი ვითამაშეთ, ერთი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავასრულეთ. გოლი არ გაგვიშვია. მეტი პრაქტიკა უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მეტოქეები ამბობდნენ უარს. ერთმა აზერბაიჯანულმა კლუბმა 300 კილომეტრს იქით შემოგვთავაზა ჩასვლა, რაც საწვრთნელ გეგმებს არევდა და არ წავედით.

— 17 ივლისს უეფას თასზე გელით თამაში. მეტოქეზე რა იცით?

— ინტერნეტში მოპოვებული ინფორმაციები გვაქვს. ამასთან შარშან თურქეთში ყოფნისას ტურნირის ფინალში „ჰონვედთან“ წავაგეთ პენალტებში. საკმაოდ კარგი გუნდი იყო. ისინი მეშვიდეზე გავიდნენ უნგრეთის ჩემპიონატში, „დიორი“ — მესამეზე, ალბათ უკეთესი გუნდია.

— გასვლის შანსზე რას იტყვი?

— ისინი ამბობენ, გავალთო, ჩვენი სურვილიც ეს არის და ვნახოთ, რა იქნება. ის უპირატესობა გვაქვს, რომ მეორე მატჩს შინ ვითამაშებთ და თანაც ზესტაფონში. დასავლეთ საქართველოში ფეხბურთი თითქმის მოკვდა და საფეხბურთო ზეიმი მხოლოდ ზესტაფონშია. ვეცდებით, გულშემატკივარი გავახაროთ.

— გუნდში კარგი განწყობაა?

— საბრძოლო. ბიჭებს დადებითი მუხტი იმანაც მისცა, რომ შევიტყვეთ, გულშემატკივარი თურმე უანგაროდ მონაწილეობდა სტადიონის რეკონსტრუქციაში. მათ ფეხბურთი უყვართ და არ უნდა ვაწყენინოთ. თავს ნამდვილად არ დავზოგავთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ოლიმპი 2:0 სპარტაკი

1:0 მეგრელაძე (20), 2:0 მიკუჩაძე (52)

ოლიმპი: მერლანი (სტურუა 46), მუნდუნგა, გ. ონიანი, სეთურიძე (თ. ღონღლაძე 46), რეხვიაშვილი, გაბიდაური (დობროვოლსკი 46), ფეიქრიშვილი (მაჭავარიანი 60), გეწაძე (სებისკვერაძე 60), ბაბუნაშვილი, მიკუჩაძე (მიქაბერიძე 60), მეგრელაძე

სპარტაკი: კოდალაევი (ქვილითაია 60), ქორიძე, მგალობლიშვილი (ბაგაშვილი 70), კუპრეიშვილი, მამუკაშვილი, კობერიძე (ზამთარაძე 70), დარბაიძე (ხიზანიშვილი 46), თექთუმანიძე (ოსეფაშვილი 70), დათუნაშვილი (ოქრუაშვილი 46), გ. ხიდაშელი (მედოევი 70)

ოლიმპმა სპარტაკსაც აჯობა

გუშინ რუსთავის „ოლიმპმა“ „ფოლადზე“ ცხინვალის „სპარტაკს“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. „ოლიმპმა“ რამდენიმე ტესტ-მატჩის გამართვა მოასწრო, ცხინვალელებისთვის კი ეს პირველი შეხვედრა იყო. „ოლიმპში“ თუ ბევრი ფეხბურთელი მივიდა, „სპარტაკიდან“ — პირიქით. გუნდი დატოვა რევაზ ქემოკლიძემ, ირაკლი ძარიამ და ვახტანგ კვარაცხელიამ. ტრავმების გამო არ იყვნენ ბესიკ ხაჭიპერაძე და მამუკა ღონღაძე.

„ოლიმპის“ უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა. რუსთაველები მე-20 წუთზე შოთა ბაბუნაშვილის პასით გია მეგრელაძემ დააწინაურა — თავით ცხრიანში გაიტანა. კოკა მოკუჩაძემ კი 52-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილის პასით იხეირა — 2:0.

„ოლიმპში“ მოსალოდნელი სიახლე გიორგი სეთურიძეა. მან პირველ ტაიმში ითამაშა მარჯვენა მცველად.

მოგეხსენებათ, გაბონელი როდრიგ მუნდუნგაც გუნდთან ერთადაა და პირველ ნახევარში ცენტრალური მცველი იყო, მეორეში კი მარჯვენა ნახევარმცველი.

როგორც ნამატჩევს „ოლიმპის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა, გუნდიდან წავიდა დავით ჭიჭვეიშვილი.

„ოლიმპი“ 17 ივლისს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან გამართავს ტესტ-მატჩს, „სპარტაკი“ კი გორში 18 ივლისს აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრება.

ნუკრი ლოლაძე

ტოპმიოლერმა ჩეხეთში ცხოვრებაც არ ისურვა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად არ დაინიშნება.

ამის თაობაზე განცხადება ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გერმანელ სპეციალისტთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ გააკეთა.

„ტოპმიოლერთან გარკვეულ საკითხებში საერთო ენის გამონახვა ვერ შევძელით, ამიტომ მასთან მოლაპარაკება ოფიციალურად დასრულებულია“ — წერია ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

ევროპული სააგენტოების ცნობით, ტოპმიოლერს ჩეხეთის ნაკრებში ასისტენტად თავისი თანამემამულის (სავარაუდოდ, რალფ მინგეს) დანიშნა სურდა, ამავდროულად, ჩეხეთში საცხოვრებლად გადასვლაზეც არ იყო თანახმა და მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზიც ეს გახდა.

ძახა შალამბერიძე

ქართველები ინტერტოტოზე

19 ივლისს, ჰოლანდიურ „ბრედასა“ და ნორვეგიულ „რუსენბორგს“ შორის ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპის პირველ მატჩს ქართველი მსაჯები მოემსახურებიან — არბიტრი ლევან ფანიაშვილი იქნება, ასისტენტები კი ზაზა მენთეშაშვილი და ზაზა ფიფია.

ტორპედო 2008-მ ტორპედოს ყოფილი სახლი იქირავა

ქუთაისურ ფეხბურთში ნელს სერიოზული ამბები მოხდა — ქალაქმა „ტორპედო“ დაკარგა და „ტორპედო 2008“ შეიძინა. ახალშექმნილი კლუბი დაკარგული „ტორპედოს“ სამართალმემკვიდრე არ არის, თუმც... „ტორპედო 2008“-ზე სასაუბროდ კლუბის გენერალურ დირექტორ ვახტანგ კეკუას დავუკავშირდით...

— რა საფუძველზე შეიქმნა კლუბი?

— „ტორპედო 2008“ ადგილობრივი თვითმართველობისაა და ქალაქს ეკუთვნის.

— ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან მიღებული თანხა საკმარისია გუნდის შესანახად?

— სავსებით.

— და რამდენია კლუბის ბიუჯეტი?

— ამის განსაზღვრა წინასწარ ძნელია. შეიძლება, ერთ თვეში მეტი იყოს საჭირო, მეორეში — ნაკლები.

— სად აქვს გუნდს ბაზა და რომელ სტადიონზე ითამაშებს?

— გუნდის საღორიის ბაზაზეა და სტადიონიც ერთი გვაქვს ქუთაისში...

— კი მაგრამ, ბაზაზე ხომ აქამდე „ტორპედო“ ვარჯიშობდა და რა გარანტია გქონდათ, რომ ეს კლუბი დაიშლებოდა?

— ბაზა „ტორპედოსი“ არასდროს ყოფილა. ბაზა ქონების მართვის სამმართველოსია, ვინც იქირავებს, ის ივარჯიშებს და ახლა ჩვენ ვიქირავეთ.

— გუნდი უკვე დაკომპლექტებულია?

— არა, შერჩევა მიმდინარეობს. მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით უნდა დავაკომპლექტოთ გუნდი. ამ წუთში იმის საშუალება არ გვაქვს, რომ ფეხბურთელები მოვიწვიოთ.

— გამოდის, თავიდან დიდი მიზნები არ გექნებათ...

— ქუთაისს მაღალი დონის გუნდი უნდა ჰყავდეს. ნელ-ნელა ვეცდებით, ამბიციურები გავხდეთ...

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დიდიე დროგბაზე ორასი პროცენტი თქვა

მადა ჩელსიში მოდის

„ჩელსი“ დიდიე დროგბასთვის ისეთი პირობების შესთავაზებას, აპირებს, სპილოსძვლისნაპირელი ფორვარდი რომ მოიხიბლოს და მთელი დარჩენილი კარიერა „ჩელსიში“ გაატაროს — ლონდონელთა ახალ მწვრთნელს ლუიშ ფელიპე სკოლარის ის გუნდიდან გასაშვებად არ ემეტება. ბრაზილიელმა თავკაცმა დროგბას წარმომადგენლებს უთხრა, რომ კლუბი მზადაა, მათი კლიენტის გაზრდილი მადა გაითვალისწინოს და ოთხწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერინოს ხელი.

რამდენად გაეზარდა 30 წლის აფრიკელ თავდამსხმელს მადა? კვირაში 60 ათასი გირვანქით. კერძოდ, აქამდე დროგბას ჯამაგირი კვირაში 70 ათასი გახლდათ, ამიერიდან კი (თუ, რასაკვირველია, ლონდონში დარჩება) „ჩელსის“ კაპიტნის, ჯონ ტერის დარად, 130 ათასს მიიღებს.

სკოლარიმ ბრძანა: „მე დროგბას დატოვება ასი... არა, ორასი პროცენტით მჭირდება“.

მოგეხსენებათ, ბოლოხანს დიდიე დროგბას შესაძენად ფრიად გააქტიურდნენ ისეთი კლუბები, როგორებიც არიან „მილანი“, „ინტერი“ და „ბარსელონა“. ამ სამი კლუბიდან ერთში, „ინტერში“, მას ყოფილი შეფი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ ელის, რომლის ხელმძღვანელობითაც კოტდივუარელმა ინგლისში დიდ შედეგებს მიაღწია და სახელიც საგანგებოდ გაითქვა. საყოველთაოდ არის ცნობილი რომ დროგბასთვის მაურინიუ განსაკუთრებული ფიგურა გახლდათ და როდესაც „ჩელსის“ მეპატრონემ, ჩუკოტკის ყოფილმა გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა (სხვათაშორის, ამ დღეებში აბრამოვიჩს ჩუკოტკელებმა ხვეწნის წერილი მისწერეს, დაგვიბრუნდიო) მაურინიუ გაუშვა, დროგბა ატირდა, ხოლო გასული სეზონის შუაში აბრამოვიჩზე მწარე-მწარეების თქმასაც არ მოერიდა. ერთი სიტყვით, ბოლო თვეების განმავლობაში დროგბა არ მალავდა, რომ „ჩელსიდან“ წასვლას ეშურებოდა, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მას ხელფასი შეიძლება 60 ათასი გირვანქით გაუზარდონ, ასეთ წინადადებაზე უარის თქმა კი მეტისმეტად ძნელია.

„ჩელსის“ პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პისარო კი მართლა ტრანსფერზეა და დარჩენას არავინ ეხვეწება. ბოლოხანს მივიწყებული ფორვარდი, სავარაუდოდ, „პარი სენ-ჟერმენში“ გადავა. რამდენადაც ცნობილია, ის გახლავთ ერთ-ერთი იმ შვიდთაგანი, რომელთა თავიდან მოშორებასაც „დიდი ფილი“ ამ ზაფხულზევე აპირებს. შეგახსენებთ, რომ 29 წლის პისარო „ჩელსიმ“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით, ანუ კაპიკის გადაუხდელად აიყვანა, მაგრამ არ გამოადგა — გასულ სეზონში პერუელი „ლურჯთა“ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ოთხჯერ მოხვდა. ბოლოს ეს მარტში, „ბარნსლისთან“ შერცხვენის დროს იყო.

როგორც მოგახსენეთ, პისაროს „პარი სენ-ჟერმენი“ ეპატიჟება, თუმც ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, რომ ის უფრო ნაჩვევ, გერმანულ გარემოს, კერძოდ კი „ვერდერს“ ან „ჰამბურგს“ დაუბრუნდებოდა.

ბაჩუნა ძიძია

მისი ზალცბურგი ევერტონშია

ენდი ვან დერ მეიდე „ევერტონიდან“ აბარგებას არ აპირებს და ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლებს.

ჰოლანდიელ ნახევარმცველს წინა სეზონში მხოლოდ 12 მატჩი ალირსეს და ამ ზაფხულს ამბობდნენ, რომ მისი ყიდვა „ზალცბურგს“ სურდა. ფეხბურთელს ავსტრიის ჩემპიონატის გაგონებაც არ სურს და „ევერტონში“ რჩება. „წასვლაზე არც მიფიქრია. მინდა, რომ „ევერტონს“ გამოვადგე, საამისოდ კი გულმოდგინედ ვვარჯიშობ“ — განაცხადა ვან დერ მეიდემ.

ტონის რომი დაესიზმრა

იტალიელი ფორვარდი ლუკა ტონი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნის“ და „ფიორენტინას“, ამჟამინდელი და ყოფილი გუნდების შეხვედრაზე ოცნებობს.

მიუნხენური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშია, „იებს“ კი საკვალიფიკაციო ეტაპი აქვთ გადასალახი.

„რომის „ოლიმპიკოზე“ „ბაიერნი“ — „ფიორენტინა“ დიდებული ფინალი იქნებოდა — თქვა ტონიმ — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ცხადია, ჩვენ უფრო დიდი შანსი გვაქვს ფინალში თამაშისა, მაგრამ „ფიორენტინაც“ არაა ურიგო გუნდი და არ გამიკვირდება, რომ ერთმანეთს რომში შევხვდეთ. იტალიური კლუბები ხომ ყოველთვის ითვლებიან ლიგის ფავორიტებად“.

გაჟა ხუციშვილი

აფრინდა ქორი, აფრინდა

პოლ ინსი ფეხბურთელობისას ხომ მებრძოლი გახლდათ და ამ თვისებას ახლა, პრემიერლიგის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელობისასაც ინარჩუნებს.

რა აქვს სეზონის დაწყებამდე ინსს საბრძოლველი? რა და ის, რომ „ბლექბერნზე“ დიდი კლუბები მის თავს ქორებივით ტრიალებენ და ამა თუ იმ ფეხბურთელის გატაცებას ლამობენ. აი, მაგალითად, „ასტონ ვილამ“ დევიდ ბენტლის შეძენა მოისურვა.

ინსის ხელმძღვანელობით ბლექბერნელებმა პირველი თამაში ახალი მწვრთნელის ძველ გუნდთან, „მაკლესფილდთან“ გამართეს და 2:1 მოიგეს, რის შემდეგაც პრესკონფერნცია გაიმართა. სწორედ ამ პრესკონფერენციაზე განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ინტერის“ და „ლივერპულის“ ყოფილმა ნახევარმცველმა, ბენტლის, ბრედ ფრიდელისა და როკე სანტა კრუზის შესანარჩუნებლად დიდ ბრძოლას გავმართავო. მან თქვა, რომ ბენტლი ახლა კოჭის ტრავმას იშუშებს, რის შემდეგაც სხვა გუნდში კი არ გაიქცევა, არამედ ოთხშაბათს „როვერსს“ გერმანულ შეკრებაზე გაჰყვება.

აღსანიშნავია, რომ „ბლექბერნის“ თვითმფრინავში იქნება თითქოსდა ტრანსფერზე დაყენებული რობი ფაულერიც. ინსის თქმით, გერმანიაში მიფრინავს ზემოხსენებული ფრიდელიც, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტად ჰგავდა წამსვლელს და რომელსაც „მაკლესფილდთან“ შეხვედრაში გულშემატკივარი პატივისცემისა და ერთგულების ნიშნად ფეხზე წამოუდგა.

„რასაკვირველია, პრემიერლიგის გუნდის გაძღოლა გაცილებით რთულია, ვიდრე თუნდაც იმ გუნდისა, სადაც ბოლოს ვმუშაობდი, „მაკდონსის“. აქ, „ბლექბერნში“, განუზომლად დიდ ზეწოლას ვგრძნობ, მაგრამ ახალ სამსახურში გატარებული ყოველი რთული წუთი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და საუკეთესო ფეხბურთელებიდანაც არავის დაკარგვას არ ვაპირებ“.

ინსი არ უარყოფს, რომ ბენტლის გამო დიდი ბრძოლა მოელის, რადგან მასში მყიდველები 17 მილიონ გირვანქას იხდიან, ხოლო, რაც შეეხება სანტა კრუზს, მასზე მწვრთნელი კატეგორიულად აცხადებს, რომ არსად არ მიდის.

„ბლექბერნში ჩამოვედი თუ არა, გამოვაცხადე, რომ საუკეთესო ფეხბურთელებს არ შეველეოდი. ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება ბრედ ფრიდელიც, რომელიც ინგლისში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ამბობდნენ, რომ მე პოლ რობინსონის შეძენა მინდოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. რობინსონი არ მჭირდება, მე ბრედის შენარჩუნება მსურს. რაც შეეხება დევიდ ბენტლის სიტუაციას, მას სინათლეს მხოლოდ დრო მოჰფენს. დადგება აგვისტო და გაირკვევა, რა როგორ მოხდება. ჯერჯერობით, ის ჩვენი ფეხბურთელია და დაშავებული რომ არ ყოფილიყო, პირველ ამხანაგურ თამაშში მონაწილეობას მიიღებდა“.

ბაჩუნა ძიძია

თოფის ქომაგი

ანდრეი არშავინის აგენტი ამტკიცებს, რომ მისი კლიენტისთვის იდეალური გუნდი ლონდონის „არსენალი“ იქნება, რადგან ფეხბურთელი არსენ ვენგერის დიდი გულშემატკივარი ყოფილა.

„სტაბილური ვითარება „არსენალში“, არსენ ვენგერის მიდგომა საქმისადმი და ზოგადად პრემიერლიგა არშავინს ძალიან მოსწონს — ბრძანა დენის ლახტერმა — თუ „მეთოფეები“ ფეხბურთელის ყიდვას დააპირებენ, სხვა კლუბებთან შედარებით უპირა[illegible]სობა ექნებათ.

გარიგება ორივესთვის იდეალური გამოვა. ვენგერ[illegible] ახალგაზრდა გუნდი ჰყავს და არშავინიც 27 წლ[illegible]საა“.

„ზენიტის“ ფეხბურთელმა ევროჩემპიონატზე მე[illegible] თხედფინალში, ჰოლანდიასთან გაიელვა, ტურნირ[illegible] ორი გოლი გაიტანა და რუსთა ნაკრები პირველ[illegible] გავიდა ნახევარფინალში. იქ კი, ესპანეთთან, [illegible] არაფერი გაუკეთებია.

პირველი „ბარსელონა“ გამოხტა და „ზენიტ[illegible] მილიონი ევრო შეაძლია ფეხბურთელში, მაგრამ [illegible] მეტი მოსთხოვეს. მაშინ არშავინი „ბარსას“ [illegible] ფიცულობდა, ბავშვობიდან მაგ გუნდში თამაშზე [illegible] ცნებობდიო.

ახლა უკვე არსენ ვენგერის და „არსენალის“ [illegible] გამხდარა. მისმა აგენტმა დენის ლახტერმა განაც[illegible] და, არშავინი „ბარსაში“ იმიტომ არ გავუშვით, რო[illegible] ხოსეპ გვარდიაოლა გამოუცდელი მწვრთნელიაო.

„გვარდიოლა დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ არავინ იცის, მისგან როგორი მწვრთნელი დადგება“ — თქვა აგენტმა.

გაჟა ხუციშვილი

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

იორებრო 2:1 სუნდსვალი

მალმიო 2:4 ჰამარბი

კალმარი	14	10	2	2	32:11	32
ელფსბორგი	13	7	4	2	16:4	25
ჰამარბი	14	7	4	3	22:16	25
აიკ	13	7	4	2	16:11	25
გიოტებორგი	14	6	5	3	20:14	23
ჰელსინგბორგი	13	6	4	3	23:16	22
მალმიო	14	5	6	3	20:18	21
იურგორდენი	14	4	6	4	14:19	18
ჰალმსტადი	13	4	5	4	16:15	17
გაის	13	3	7	3	12:12	16
ტრელებორგი	14	4	4	6	13:15	16
იორებრო	14	4	3	7	8:19	15
სუნდსვალი	14	3	3	8	14:21	12
გეფლე	14	3	2	9	10:19	11
ლიუნგსკილე	13	3	1	9	10:22	10
ნორჩიოპინგი	14	1	4	9	13:27	7

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური

ინტერი 1:1 მიუპა

ინტერი	12	6	6	0	20:8	24
მიუპა	12	6	4	2	18:8	22
ლაჰტი	12	7	1	4	17:12	22
ჰიკ	12	5	5	2	23:11	20
ჰაკა	12	6	2	4	16:17	20
ჰონკა	12	5	3	4	17:9	18
ვაასა	12	4	6	2	9:6	18
როვანიემი	12	4	4	4	17:16	16
ტამპერე	12	3	5	4	17:18	14
ტურკუ	11	4	2	5	14:15	14
იარო	12	3	4	5	12:21	13
მარიეჰამნი	12	3	3	6	12:18	12
კუოპიო	12	2	3	7	10:21	9
კტპ	11	0	2	9	6:28	2

ნორვეგია

ტიპელიგა. XIII ტური

ლინი 1:1 ბრანი

ფრედრიკსტადი	13	8	2	3	23:13	26
სტაბეკი	13	7	4	2	21:10	25
ტრომსიო	12	6	3	3	15:8	21
ლინი	13	6	3	4	18:13	21
ვოლერენგა	13	6	2	5	18:14	20
ბრანი	13	5	5	3	21:19	20
ბოდიო გლიმტი	13	5	4	4	15:17	19
რუსენბორგი	13	5	3	5	20:15	18
ვიკინგი	13	5	3	5	16:17	18
სტრომსგოდსეტი	13	4	4	5	13:17	16
მიოლდე	13	3	6	4	16:16	15
ალესუნდი	13	3	1	9	18:29	10
ლილესტრიომი	13	2	3	8	12:24	9
ჰამ კამი	12	2	3	7	8:22	9

ისლანდია

I დივიზიონი. XI ტური

ბრეიდაბლიკი 2:1 კოპავოგური



ბარსა უკვე მაგარია!

ტაშკენტიდან მოდის ჭარაფანი?

„ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა გრძნობს, რომ მომავალ საზონში ტიტულების მომპოვებელი შემადგენლობა უკვე შეკრებილი ჰყავს. რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, ყოფილმა ვარსკვლავმა ეს მაშინ განაცხადა, როდესაც გუნდი ჯერაც თავდამსხმელის ძიებაშია.

„ბარსამ“ ჯოვანი დოს სანტოსი და სანტი ესკერო უკვე გაასხვისა, რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს ამბავი კი მოგეხსენებათ: ბარსელონელები აღარც ისინი არიან. მაშ, ვინ უნდა შეუტიოს „კამპ ნოუზე“ მეტოქეთა კარს? ქარიმ ბენზემას, დავიდ ტრეზეგეს, დიმიტარ ბერბატოვის, დავიდ ვილიასა და ემანუელ ადებაიორის ამბავი ხომ არ გამოვიდა — ზოგი თავად კატალონიელებს არ სურდათ და ზოგის საქმეც რაღაც სხვა მიზეზით ჩაიშალა.

მაგრამ, გვარდიოლა ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აცხადებს, რომ დიდ საქმეთა მკეთებელი შემადგენლობა უკვე შეკრული ჰყავს.

„არა უშავს. ჯერ ერთი, ასეთი საქმეების გაჩარხვას დრო სჭირდება და მეორეც, ცხრა ნომერი სულაც რომ არ მოვიყვანოთ, ამისგან დიდ ტრაგედიას არ შევქმნი. იმ შემადგენლობით, რომელიც ამ წუთას ჩემს განკარგულებაშია, შორს შეგვიძლია წასვლა. ვისაც უნდა შეგვეჯიბროს. მოკლედ, მე რომ მჭირდება, ისეთი გუნდი უკვე მყავს“.

წამით შევაწყვეტინოთ „ბარსელონას“ ახალ მწვრთნელს და გადავხედოთ იმ თავდამსხმელების სიას, რომლებიც კატალონიელთა სიაში ირიცხებიან: ტიერი ანრი, ბოიან კრკიჩი და ეიდურ გუდიონსენი.

გვარდიოლამ განაგრძო: „ანრისგან ძალიან ბევრს ველი. მე მას უკვე ველაპარაკე და კარგად ვიცი, რომ ახალ გარემოში პირველი წელიწადი წარუმატებელი ჰქონდა, მაგრამ ვფიქრობ, ის „ბარსას“ წარმოუდგენელ ძალას შემატებს. ანრისა და ბოიანისგან მაქსიმუმის გამოწურვას ვაპირებ“.

აი, ახლა კი სკამებზე კარგად დასხედით და შოკისთვის მოემზადეთ: დაირხა ხმები, რომ სამუელ ეტოო (რომელზეც ზემოთ, როგორც „ბარსელონადან“ წამსვლელზე უკვე ვილაპარაკეთ) უზბეკურ „კურუვჩიში“ მიდის! ამ ხმების თანახმად, კამერუნელსა და უზბეკებს შორის კონტრაქტი უახლოეს დღეებშივე დაიდება.

და ყველაზე საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ ინფორმაცია „კურუვჩის“ დირექტორმა ბათირ ბაბაევმა დაადასტურა. მან ბრძანა: „ეტოო ხუთშაბათს ტაშკენტში ჩამოვა და კონტრაქსაც გააფორმებს. კონტრაქტის ვადა სულ მცირე 2008 წლის ბოლომდე იქნება. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გამოვალთ აზიის ჩემპიონთა ლიგაში. მეოთხედფინალში „საიპას“ უნდა შევხვდეთ, მაგრამ პლეი ოფამდე ჩვენი მთავარი მიზანი ეტოოს შეძენაა“.

როდესაც ჟურნალისტებმა ამ ინფორმაციის „ბარსელონაში“ გადამოწმება სცადეს, პასუხად დაბნეულობა მიიღეს. კატალონიელთა პრესცენტრმა ყოყმან-ბორძიკით განაცხადა, ამის შესახებ არაფერი გვსმენია და სიმართლესაც არ უნდა ჰგავდესო, მაგრამ „კურუვჩიმ“ პირველ კომენტარს ზედ მეორე ოფიციალური განცხადება დაურთო, სადაც იჟინებს, რომ 16-17 ივლისს 27 წლის კამერუნელი ტაშკენტში იქნება...

ბაბუნა კედია

რონალდინიო მილანში ფაქტობრივად წასულია

ბრაზილიელი რონალდინიოს ბედი, ყველაზე გვიან, ხუთშაბათს გადაწყდება. „ბარსელონა“ ამ ინფორმაციას ოფიციალურად ადასტურებს და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას და ამ გაწელილი სატრანსფერო საგის დასრულებას დაველოდოთ.

რონალდინიო ბარსელონაში ორშაბათს ჩავიდა, თავის ძმასა და აგენტ რობერტო დე ასისთან ერთად. იგი კლუბის დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინსა და ახალ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას შეხვდა. ისინი ერთმანეთს თბილად ესაუბრნენ და არანაირ უსიამოვნო ინციდენტს ან კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

ბრაზილიელ ვარსკვლავს ორი ვარიანტი აქვს, „მანჩესტერ სიტი“ ან „მილანი“. თავად მას „როსონერიში“ გადაბარგება ურჩევნია, მაგრამ თუ იტალიური კლუბი შემოთავაზებას არ გააუმჯობესებს, პრემიერლიგაში გადასვლა მოუწევს. ხოლო თუ კატალონიური კლუბის მიერ მიცემულ სამ დღეში მას ახალი კლუბი ისევ არ ეყოლება, რონალდინიოს „კამპ ნოუზე“ დარჩენა და ვარჯიშის განახლება მოუწევს, რაც ნაკლებ სავარაუდოა.

გვარდიოლას ჩასვლისთანავე შეუთავაზებია 28 წლის ფეხბურთელისთვის ვარჯიშის განახლება, მაგრამ პასუხად უარი მიუღია — ახლა თავში სხვა რამე მიტრიალებს და ბურთის გორებისთვის არ მცხელაო.

„არ ინერვიულო, დრო არის. სამი დღე გაქვს ტრანსფერის დასასრულებლად. თუმცა, თუ ამ პერიოდში ახალ კლუბს ვერ მონახავ, პარასკევს ვარჯიშზე გელოდები“ — უთქვამს გვარდიოლას.

რონალდინიოს კი ასე უპასუხია: „მშვიდად პეპ, პარასკევს აქ უკვე აღარ ვიქნები“.

„სიტი“ „ბარსელონას“ 32 მილიონს სთავაზობს (27 მილიონს პლუს 5 მილიონი ბონუსები). „მილანის“ წინადადება ასეთია — 15 მილიონს პლუს 5 მილიონი ბონუსები. კატალონიელებს ინგლისური კლუბის ვარიანტი სრულებით აკმაყოფილებთ, მაგრამ სურთ, რონალდინიოს სურვილსაც გაუწიონ ანგარიში და ამბობენ, თუ „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კიდევ ხუთ მილიონს დაამატებს „ბარსა“ „მილანს“ გაურიგდება და ბრაზილიელი „სან სიროზე“ გადაბარგდებაო.

ხოსეპ გვარდიოლა: „კლუბი ძალიან მადლიერია რონალდინიოსი, ყველაფრისთვის, რაც მან გააკეთა. ქომაგებს მასზე საოცარი მოგონებები დარჩებათ“.

გიორგი კაკაბაძე

P.S. გუშინვე რონალდინიოს ტრანსფერს ნათელი მოეფინა. გადაწყდა, რომ ბრაზილიელი კარიერას „მილანში“ გააგრძელებს, იტალიაში კი დღეს ჩავა. გარიგების ფასი 18,5 მილიონი ევროა.

ალექსანდერი გრინის სანაცვლოდ

„გლაზგო რეინჯერსის“ მეკარე ნილ ალექსანდერი შესაძლოა, ლონდონის „ვესტ ჰემში“ აღმოჩნდეს. ინგლისური კლუბი მზადაა, 30 წლის გოლკიპერში 1 მილიონი გირვანქა გაიმეტოს. როგორც ჩანს, „ჩაქუჩები“ რობერტ გრინის შემცვლელს ეძებენ, რომლითაც არაერთი კლუბია დაინტერესებული.

პსჟ ბებრებზე გადავიდა

ფრანგული პსჟ რამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელითაა დაინტერესებული. ლუდოვიკ ჟიულისა და სილვენ ვილტორის შემდეგ, დედაქალაქელებმა „ჩელსის“ თავდამსხმელ კლაუდიო პრასოს დაადგეს თვალი. პერუელი ფორვარდი ერთი წლის წინ გადავიდა ლონდონურ კლუბში, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ ადგილის დაბევება ვერ შეძლო. აქამდე პოლ ლე გუენის გუნდი კიდევ ერთი „არისტოკრატის“ — კლოდ მაკელელეს გადმობირებას ცდილობდა.

მოიესი ახანგრძლივებს

„ევერტონის“ შოტლანდიელი მწვრთნელი დევიდ მოიესი კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას. „მოლაპარაკება დაწყებულია, იმედი მაქვს, ყველაფერი სწრაფად მოგვარდება“ — თქვა მოიესმა.

რაც შეეხება მოქმედ კონტრაქტს, იგი დევიდ მოიესს კიდევ ერთი წლით აკავშირებს „ლურჯებთან“.

ხიზანას მწვრთნელი დაუნიშნეს

ლონდონის „არსენალის“ ყოფილი მცველი, ნაიჯელ უინტერბერნი, „ბლექბერნის“ სამწვრთნელო შტაბში მიიღეს. იგი დაცვის რგოლის მომზადებაში დაეხმარება „როვერსის“ მთავარ მწვრთნელ პოლ ინსს. უინტერბერნს 500 მატჩზე მეტი აქვს ჩატარებული „არსენალის“ შემადგენლობაში და სამჯერ მოიგო „მეთოფეებთან“ ერთად ინგლისის ჩემპიონის ტიტული.

პაუნოვიჩი შინისკენ

ყაზანის „რუბინის“ ყოფილმა თავდამსხმელმა, ველიკო პაუნოვიჩმა ესპანური „ალმერია“ დატოვა და სამშობლოში, ბელგრადის „პარტიზანში“ დაბრუნდა. შარშან პაუნოვიჩმა „ალმერიას“ შემადგენლობაში 7 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. 30 წლის ფეხბურთელმა ბელგრადელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რომაელების ლიხტშტაინერი

რომაული კლუბები „რომა“ და „ლაციო“ ინგლისურ „ევერტონს“ ფრანგული „ლილის“ მცველს შტეფან ლიხტშტაინერს ეცილებიან. 24 წლის შვეიცარიელი კობი კუნს ევროპის ჩემპიონატზეც ჰყავდა წაყვანილი. ლიხშტაინერს 750 ათას გირვანქად აფასებენ.

არჩილ კოტბახიძე

ინდივიდუალური პროგრამა შვებულებაში წასვლელთათვის

გონსალო იგუაინმა „რეალში“ ორი სეზონი მოილია. კაპელოს მწვრთნელობისასაც არ იყო ძირითადი შემადგენლობოს ფეხბურთელი და მაინცდამაინც არც შუსტერი სწყალობს, მაგრამ გერმანელმა იტალიელისგან განსხვავებით, წინა სეზონში მეტხანს ათამაშა. 20 წლის იგუაინი მადაზე მოვიდა და კიდევ უფრო მეტი სათამაშო დრო სურს, რაზეც საუბრობს კიდეც ინტერვიუში, რომელიც მადრიდის „რეალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— როგორ ისვენებთ? მალე ხომ მადრიდში დაბრუნება მოგიწევთ...

— ძალიან კარგად. საბედნიეროდ, მშვიდად ვარ და, რაც მთავარია, ვტკბები ოჯახური გარემოთი და მეგობრებთან ურთიერთობით. მომავალ კვირაში ჩავალ ესპანეთში და ყველაფერს ახლიდან დავიწყებთ.

— შვებულებაშიც ფეხბურთით ერთობით თუ რომელიმე სხვა სახეობით? ალბათ თავს უფრთხილდებით...

— კლუბიდან წამოსვლისას ყველას დაგვირიგეს ვარჯიშების ინდივიდუალური პროგრამა, რომელსაც ზედმიწევნით ვასრულებ. ფორმის შესანარჩუნებლად სწორი კვებაც აუცილებელია. ყველაფერი ზუსტად უნდა გავაკეთო, თორემ ზედმეტმა ვარჯიშმა შეიძლება მავნოს კიდეც.

— სად გაატარეთ შვებულება?

— არგენტინიდან არსად წავსულვარ. ბუენოს აირესში მეგობრებს ვხვდებოდი და კარგ დროს ვატარებდით. ახლა კი მეტი დრო ვარჯიშებს უნდა დავუთმო, რათა მომავალი სეზონისთვის მზადება გამიადვილდეს.

— მოგენატრათ მადრიდი?

— რა თქმა უნდა. მომენატრა თამაში, „სანტიაგო ბერნაბეუ“, თანაგუნდელებთან საუბარი და ქომაგების ხმაური.

— არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებში რომ ვერ მოხვდით, ცუდია თუ კარგი?

— მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და საპრეტენზიო არაფერი მაქვს. საწყენია, თუმც ეს უკვე წარსულია.

ცხადია, ნაკრების ყველა მატჩს ვნახავ, რადგან გუნდში ბევრი ჩემი მეგობარია.

არ გამიმართლა და ოლიმპიადაზე ვერ ვითამაშებ, მაგრამ სამაგიეროდ „რეალთან“ ერთად ვიქნები სეზონისწინა შეკრებაზე.

ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ მადრიდში.

— ალბათ უმეტესი დრო ზღვაზე და აუზებში გაატარეთ...

— აქ ხომ ზამთარია! აუზში ჩახტომა არც ისე სასიამოვნოა. წელიწადის ამ დროს არგენტინაში პალტოებით დადიან, მაგრამ ახლა რამდენიმე დღე ფანტასტიკური ამინდი გამოვიდა და მოკლესახელოიანი მაისურის ჩაცმაც შეიძლება.

— მაშ, რას აკეთებდით შვებულების განმავლობაში?

— მონატრებულ ნაცნობ-მეგობრებს ვსტუმრობდი. მალე ხომ მადრიდში მომიწევს დაბრუნება და მათ კიდევ დიდხანს ვერ ვნახავ. სასიამოვნოა იმ ადამიანების გვერდით ყოფნა, რომლებიც ნამდვილად გიყვარს.

— წინა სეზონზე რას იტყვით?

— დიდებულია, რომ მიჯრით მეორედ გავხდით ჩემპიონები. ზედიზედ ორჯერ პრიმერადივიზიონის მოგება კი იოლი საქმე არ გეგონოთ. „რეალმა“ საუცხოო სეზონი ჩაატარა. ვიმედოვნებ, რომ გუნდის ძირითად ბირთვს შეინარჩუნებენ, რადგან აშკარად ძლიერი შემადგენლოაა. მეც თავს კარგად ვგრძნობ მადრიდში და „რეალის“ სრულფასოვანი წევრი ვარ.

— მომავალ სეზონს როგორი განწყობით ხვდებით?

— ძალიან კარგი. გულმოდგინედ უნდა მოვემზადოთ, რადგან მალე ესპანეთის სუპერთასის მატჩი გველის. ჩვენი მიზანი კვლავაც პრიმერადივიზიონის მოგება და ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელთან შედარებით უკეთესი თამაში იქნება. სამეფო თასიც არ უნდა დაგვავიწყდეს.

— ამ შემადგენლობით „რეალს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია?

— რატომაც არა. ძლიერი გუნდი გვაყვს და ეს შედეგებით უნდა დავამტკიცოთ.

— პირადად თქვენ რას ელით ახალი სეზონისგან?

— ჩემი ოცნებაა, რაც შეიძლება ხშირად თამაში და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. საამისოდ თავდაუზოგავად ვიშრომებ. მინდა, რომ მწვრთნელი მენდოს, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო და ბევრი გოლი გავიტანო. ნებისმიერი ფეხბურთელი, მგონი, ასე ფიქრობს.

— „რეალს“ მეტად გაძლიერება არ სჭირდება?

— ამ კითხვით მწვრთნელს და კლუბის პატრონს უნდა მიმართოთ. ამის გარჩევას არ ვაპირებ.

— კრიშტიანუ რონალდუს როგორ შეაფასებთ?

— ისევე, როგორც სხვები. შესანიშნავი ფეხბურთელია, რომლის სავარაუდო ტრანსფერის გამო დიდი რიარია ატყდა. თუ გადმოვა, ყველა სიხარულით შეხვდება და „რეალს“ მისი დამატება ნამდვილად წაადგება.

— წიანააღმდეგი არ ხართ რომ თქვენი თანაგუნდელი გახდეს?

— ალბათ არცერთი ფეხბურთელი არ იტყოდა უარს რონალდუს თანაგუნდელობაზე.

— ზოგიერთი რეალელის აზრით, რონალდუს მოსვლა გუნდს ავნებს...

— არ მგონია. ჩემი აზრით, პირიქით მოხდება — არგებს.

— ამ სეზონში რომელ პოზიციაზე გსურთ თამაში?

— უმეტესად უკან დაწეული თავდამსმელი ვარ და ზოგჯერ ნახევარმცველობაც მეკისრება, მაგრამ ძალიან მსურს ცენტრფორვარდობა და შევეცდები, რომ შრომით ეს ადგილი დავიმსახურო.

— წინა სეზონში „ოსასუნასთან“ შეცვლაზე შესულმა საგოლე პასი და ბოლო წუთზე გოლი მიითვალეთ, რითაც „რეალს“ ჩემპიონობა გაუნაღდეთ...

— მართლაც კარგი გამომივიდა სეზონის ბოლო და ძალიან კმაყოფილი ვიყავი.

— მაშინ პრედრაგ მიატოვიჩს (სპორტული დირექტორი) უნდა უთხრათ, რომ კიდევ ერთი ფორვარდის ყიდვა საჭირო აღარაა.

— ეს ჩემი საქმე აღარაა. მე ერთი ვიცი, რომ თამაშის დახვეწაზე უნდა ვიზრუნო და კონკურენტებს ვაჯობო.

— „რეალში“ გატარებული ორი წლის შემდეგ გრძნობთ თუ არა, რომ გაიზარდეთ როგორც ფეხბურთელი?

— ალბათ კი, რადგან, როცა ახალგაზრდა კაცი ასეთ გუნდში მოხვდება და დამოუკიდებელი ხდება, მალე იზრდება.

— მწვრთნელთან რამე სათხოვარი ხომ არ გაქვთ?

— არაფერი. მხოლოდ უნდა დავუმტკიცო, რომ სხვებზე ნაკლები არ ვარ და მეტხანს თამაშს ვიმსახურებ.

— „რეალიდან“ შეიძლება რობინიო წავიდეს. თქვენი ნება რომ იყოს, გაყიდდით მას?

— მეც ვკითხულობ გაზეთებს და ვიცი რობინიოს ამბები, მაგრამ ვერ გეტყვით როგორ დასრულდება. ამიტომაც ამაზე საუბარი არ მსურს.

— ევროპის ჩემპიონ ესპანეთზე რას იტყვით?

— ჩემმა თანაკლუბელებმა იკერ კასილიასმა და სერხიო რამოსმა საუცხოოდ ითამაშეს, ნაკრებმა კი ჩემპიონობა დაიმსახურა.

— მიულოცეთ?

— მესიჯები გავუგზავნე.

შეურაცხყოფილი ხურდა ფული

ბოლო ცნობების თანახმად, „რეალის“ შეფები ფრიადი დაკვირვებით იხილავენ „ჩელსიდან“ მიღებულ წინადადებას, რომელშიც საუბარი ბრაზილიელ ვარსკვლავ რობინიოს ეხება. თურმე ლონდონელები რობინიოს სანაცვლოდაც 60 მილიონ ევროს ანუ 48 მილიონ ინგლისურ გირვანქას იხდიან. მეტიც, როგორც ცნობილი გახდა, „ჩელსის“ აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა მადრიდელ კოლეგას, პრედრაგ მიატოვიჩს პირადად დაურეკა და უთხრა, რომ გასულ პარასკევს შეთავაზებულ 40 მილიონ ევროს ზედ ოცსაც უმატებდა.

მაგრამ, უნდა კი „რეალს“ რობინიოს გაყიდვა? რამდენადაც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, მადრიდელები ბრაზილიელთან განშორებაზე არც ფიქრობდნენ, ხოლო თუ ამას ახლა გააკეთებენ, დიდად ბედნიერები ნამდვილად არ დარჩებიანო.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: რობინიოში მიღებულ ფულს „რეალის“ შეფები გარკვეულ თანხას დაამატებენ და იმდენს შეკრებენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ კრიშტიანუ რონალდუს ყიდვაც შესაძლებელი გახდება. და კიდევ, მართალია, თავად რობინიომ სულ რაღაც გაშინწინ განაცხადა, რომ „რეალში“ დარჩენა ყველაფერს ურჩევნია, მაგრამ „ჩელსიში“ თანამემამულე მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ეგულება და გული მისკენ მიუწევს, მით უფრო, რომ ორშაბათს „რეალის“ შეკრებას არ შეუერთდა და სამშაბათს ბრაზილიაში გაბრუნდა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? ოფიციალურად მხოლოდ ის ითქვა, რომ ფეხბურთელი ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდშია გამოძახებული, ჩუმად კი დაირხა ხმები, თითქოს, ამ ორ დღეში ფეხბურთელსა და მადრიდულ კლუბს შორის ურთიერთობა აირია. სავარაუდოდ, ბრაზილიელმა ვარსკვლავმა რონალდუს ხურდობა იუკადრისა.

რობინიოს აგენტი ვაგნერ რიბეირო: „მადრიდელებმა რობინიოს ჭეშმარიტი ფასი ვერ გაიგეს. პირადად მე არ მომწონს ის ფაქტი, რომ ჩემს კლიენტს რონალდუს გარიგების ნაწილად აღიქვამენ. ჩვენთვის ფული ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის, მნიშვნელოვანი კი მხოლოდ ის გახლავთ, რომ რობინიო შეიძლება „ჩელსიში“ სკოლარისთან გადავიდეს“.

მეორე მხრივ, რობინიოს გაყიდვით „რეალმა“ შეიძლება აშკარად იზარალოს. კერძოდ, განა გადაწყვეტილია, რომ „რეალმა“ ფული რომ იშოვოს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ რონალდუს დათმობს? ჰოდა, გამოდის, რომ არის ჩინებული თავდამსხმელის უბრალოდ დაკარგვის (ფულში გადაცვლის) საშიშროება.

თავად რობინიომ კი ახლა ასე განაცხადა: „ლუიშ ფელიპე სკოლარის ხელმძღვანელობით თამაში დიდი ბედნიერება იქნებოდა. მე მასზე ყოველთვის აღმატებულ ტონში ვლაპარაკობდი და ისიც ყოველთვის ასე მომიხსენიებდა. 2003 წელს, როდესაც ევროპაში ჯერ კიდევ არავინ მიცნობდა, მან საქველმოქმედო მატჩში გამომიძახა. ჩვენი მაშინდელი შეხვედრა, მართალია, ხანმოკლე იყო, მაგრამ ამ დიდი მწვრთნელის სტილი და ხასიათი ნამდვილად შევიგრძენი“.

პაპუნა კედია

ბასონგი ნიუკასლიში

ფრანგული „მეცის“ მცველი, სებასტიან ბასონგი, „ნიუკასლში“ ძიდის შემოწმებაზე.

„ეს ჩემთვის კარგი ვარიანტია. „ნიუკასლი“ თვალსაჩინო კლუბია. ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს შესაძლებლობებში შედის. ვნახოთ, აქედან რა გამოვა“ — თქვა 22 წლის ფეხბურთელმა.

სკამიდან სანდერლენდისკენ

„სანდერლენდის“ მწვრთნელს როი კინს „მანჩესტერიდან“ ლუი საას ყიდვა უნდა. ფრანგი ფორვარდი ბოლო ორ სეზონში მოჩვენებასავით თუ გაიელვებდა ძირითად შემადგენლობაში და საეჭვოა, რომ გზა ხელახლა გაიკაფოს. მით უმეტეს, რომ „მანჩესტერი“ დიმიტარ ბერბატოვის შეძენას აპირებს და საას ადგილი სათადარიგოთა სკამზეც აღარ იქნება.

ბრიტანულ მედიას ფრანგს ხან „ფულემში“ გადაჰყავს, ხან „ბოლტონში“ და „რომაში“, მაგრამ ყველაზე დიდი შანსი „სანდერლენდს“ აქვს, რადგან როი კინი ყოფილი მანჩესტერელია. კინის გუნდში საამ ტრავმირებული კენუაინ ჯონსი უნდა შეცვალოს.

ვაჟა ხუციშვილი

სორინი თავისუფალია

გერმანულმა „ჰანოვერმა“ არგენტინელ ხუან პაბლო სორინთან კონტრაქტი გაწყვიტა. არგენტინის ნაკრების ყოფილ კაპიტანს გერმანულ კლუბთან ხელშეკრულება 2009 წლამდე აკავშირებდა, მაგრამ ორი სეზონის განმავლობაში, 2006-2008 წლებში მხოლოდ 24-ჯერ გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში.

სორინი, რომელიც ბუნდესლიგაში ესპანური „ვილიარეალიდან“ გადავიდა, ჯერჯერობით არაფერს ამბობს სამომავლო გეგმებზე, თუმც აღნიშნა, რომ მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

უიგანი თუ მარსელი?

მარსელის „ოლიმპიკი“ და ინგლისური „უიგანი“ ჩემპიონლიგაში დაქვეითებული „ბირმინგემის“ ნახევარმცველ ოლივიე კაპოზე აცხადებენ პრეტენზიას. თავდაპირველად უფრო სავარაუდო იყო, რომ ბირმინგემელთა ყოფილი თავკაცი, ამჟამად კი „უიგან ატლეტიკის“ მწვრთნელი სტივ ბრიუსი კაპოს გადმობირებას შეძლებდა, მაგრამ პრემიერლიგის კლუბმა უუნაროდ წარმართა მოლაპარაკება და „მარსელი“ ახლა ფავორიტის რანგშია. თანაც მომავალ სეზონში ფრანგები ჩემპიონთა ლიგაზეც გამოდიან.

ტრელფორდი არენდაზე

ინგლისური „ლივერპული“ თავისი ახალგაზრდა მცველის, რობი ტრელფორდის განათხოვრებას აპირებს.

„შემატყობინეს, რომ კლუბი ჩემს განათხოვრებას აპირებს. ასე რომ, მოუთმენლად ველი შესაძლებლობას, ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო. ვიცი, რომ რამდენიმე კლუბი ჩემს მიმართ დაინტერესებას იჩენდა და მზად ვარ, ყველგან გავემგზავრო, ოღონდ პროგრესირება განვაგრძო. დარწმუნებული ვარ, არენდით წასვლა მომავალში საშუალებას მომცემს, „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშზე განვაცხადო პრეტენზია“ — განაცხადა 19 წლის ფეხბურთელმა.

სამარასი სელტიკში გადავიდა

საბერძნეთის ნაკრების თავდამსხმელი გეორგიოს სამარასი შოტლანდიურ „სელტიკში“ გადავიდა. „მანჩესტერ სიტის“ აწ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა „კელტებთან“ სამწლიანი ხელშეკრულება დადო. აღსანიშნავია, რომ „სიტიმ“ სამარასი ჰოლანდიური „ჰერენვენიდან“ 6 მილიონ გირვანქად შეიძინა, ხოლო შოტლანდელებს იგი მხოლოდ 2 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ადრე ბერძენი თავდამსხმელით „ვერდერი“, „ფეიენოორდი“ და „ლაციოც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

მინიოცი ავარიაში დაიღუპა

ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე „ტრევიზოს“ და „სამპდორიას“ ნახევარმცველმა ჯონატან მინიოციმ. ვენეციასთან ახლოს 23 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის „პორშე“ სატვირთო მანქანას შეეჯახა.

მინიოცი „სამპდორიას“ და „ტრევიზოს“ საერთო მფლობელობაში იყო და გასულ სეზონს სერია A-ში დებიუტიც კი ჰქონდა გენუელების შემადგენლობაში.

ბოავიშტას იმედი

2003-2004 წლების სეზონში მსაჯების მოსყიდვაში მხილებული პორტუგალიური „ბოავიშტა“ მეორე დივიზიონში დააქვეითეს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და იმედოვნებენ, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩება. ყველაფერი უახლოეს 7-10 დღეში გაირკვევა.

თუ გადაწყვეტილება ძალაში დარჩება და „ბოავიშტას“ დააქვეითებენ, უმაღლეს ლიგაში მის ადგილს „პასუშ ფერეირა“ დაიკავებს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მსაჯების მოსყიდვის სკანდალში ასევე გახვეულ „პორტუსა“ და მის ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. „ბენფიკასა“ და „გიმარაეშის“ საჩივრებმა არ გაჭრა — წესით, „დრაკონები“ მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, მაგრამ უეფასა და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის საბოლოო გადაწყვეტილება უახლოეს ორ-სამ კვირაში გახდება ცნობილი.

გაკოტრებული მესინა

ჯერ კიდევ ორი წლის წინ სერია A-ს ბინადარი სიცილიური დღეს „მესინა“ ცუდ დღეშია. კლუბს სერია B-ში კი არა, სერია C2-შიც აღარ დაედგომება და შეიძლება საერთოდ ამოიშალოს იტალიური საფეხბურთო რუკიდან.

„მესინას“ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, კლუბი ფაქტობრივად გაკოტრებულია და ამიტომ, არც აპირებს გუნდის სერია B-დან გაგდების გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

ფრანცების ოჯახი, რომელიც ამჟამად ფლობს კლუბს, მის გაყიდვას აპირებს. ლოდო პეტრუჩის სახით მსურველიც არის, მაგრამ თუ გარიგება თვის ბოლომდე არ შედგა, „მესინას“ სერია C2-შიც კი არ დაუშვებენ, რაც სიცილიელთათვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

სერია B-ში „მესინას“ ადგილს ალბათ „აველინო“ დაიკავებს, რომელსაც ასევე ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ კლუბის უფროსობა ირწმუნება, ახალი ინვესტორი ვიპოვნეთ და ყველაფერი წესრიგში გვაქვსო.

„მესინასა“ და „აველინოს“ ბედი საბოლოოდ პარასკევს უნდა გადაწყდეს.

არჩილ ძოწაძიძე

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

ნეციდის დუბლით დაწყებული

რომან ნეციდი

A ჯგუფი. I ტური

ბულგარეთი 0:1 უნგრეთი

0:1 ნემეტი (10)

გერმანია 2:1 ესპანეთი

1:0 შუკუტა-პასუ (7), 2:0 ტოპრაკი (56), 2:1 ალბა (66)

გერმანია	1	1	0	0	2:1	3
უნგრეთი	1	1	0	0	1:0	3
ესპანეთი	1	0	0	1	1:2	0
ბულგარეთი	1	0	0	1	0:1	0

ჩეხეთში ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყო. A ჯგუფის პირველ მატჩში ტურნირის დებიუტანტებმა — ბულგარეთმა და უნგრეთმა ითამაშეს. შეხვედრა თვალსასეირო გამოდგა და ბევრი მომენტიც შეიქმნა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გავიდა და საბოლოოდ, მათ გახსნილ თამაშში გამარჯვება უნგრელებს დარჩათ.

ერთადერთი გოლი კრისტიან ნემეტმა გატიანა, ცაციათი შორეულ დაბალ კუთხეში.

ბულგარელებს საუკეთესო შანსები მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ჰქონდათ, მაგრამ ატანას ზეჰიროვმა, ალექსანდრ კიროვმა და დანიელ დიმოვმა ვერ იხეირეს. უნგრელებმა კი ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს.

წინა ორი ტურნირის მომგებმა და ფავორიტად შერაცხულმა ესპანეთმა მოულოდნელად ცუდად დაიწყო. 19-წლამდელთა ტურნირზე 2005 წლის აპრილის მერე პირენეელები პირველად დამარცხდნენ და 23-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდათ.

მშვენივრად მოთამაშე გერმანელები მე-7 წუთზევე დაწინაურდნენ: რიხარდ სუკუტა-პასუმ გებჰარტის პასით იხეირა. ჰორსტ ჰრუბეშის შეგირდებმა მეორე 56-ეზე შეაგდეს — იმავე გებჰარტის ჩაწოდებულს იომერ ტოპრაკის ზუსტი თავური მოჰყვა, ესპანელთა მეკარე დავიდ დე გეა ისევ უძლური იყო.

ერთადერთი, რაც პირენეელებმა შეძლეს, 66-ე წუთზე ხორდი ალბას გატანილი გოლი იყო. თუმცა დარჩენილ წუთებში გატანა უფრო გერმანელებს შეეძლოთ, ვიდრე ესპანელებს.

B ჯგუფი. I ტური

ჩეხეთი 2:0 ინგლისი

1:0, 2:0 ნეციდი (54, 58)

საბერძნეთი 1:1 იტალია

1:0 პავლისი (23), 1:1 პალოსკი (89პ)

ჩეხეთი	1	1	0	0	2:0	3
იტალია	1	0	1	0	1:1	1
საბერძნეთი	1	0	1	0	1:1	1
ინგლისი	1	0	0	1	0:2	0

ტურნირის მასპინძელმა ჩეხებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და სრულებით დამსახურებულად მოუგეს ინგლისელ თანატოლებს.

ჩეხთა მხრიდან ორივე გოლი ოთხწუთიან მონაკვეთში პრაღის „სლავიას“ 18 წლის ცენტრფორვარდმა რომან ნეციდმა გაიტანა, ვისაც ასისტენტობა ორივეჯერ მარტინ ზემანმა გაუწია.

ინგლისელებს რამდენიმე მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ ჩეხები აშკარად უკეთ, უფრო მრავალფეროვნად გამოიყურებოდნენ და მეტის გატანაც შეეძლოთ. 73-ე წუთზე მასპინძლებს იაკუბ ჰაიდენრაიხი გაუძევეს, 82-ეზე — რომან ბრუნციკიც, მაგრამ ინგლისელებს ამანაც ვერ უშველა.

დაძაბული და საინტერესო გამოდგა საბერძნეთისა და იტალიის შეხვედრაც. თავისი 18 წლის პლეიმეიკერის, სოტირის ნინისისა და არანაკლებ ნიჭიერი თავდამსხმელის მიხალის პავლისის წინამძღვრობით ბერძნები მშვენივრად თამაშობდნენ და ბოლო წამებამდე იგებდნენ კიდეც — 23-ე წუთზე ნინისის პასით თავი პავლისმა გამოიჩინა. თუმცა ალექსის ალექსიუს გუნდმა სამი ქულის მოპოვება მაინც ვერ შეძლო.

ბოლო წუთებზე იტალიელთა ზეწოლამ შედეგი გამოიღო — ანდრეა პოლიმ პენალტის შესრულების უფლება მოიპოვა, რომელიც „მილანის“ ფორვარდმა ალბერტო პალოსკიმ მშვიდად აქცია გოლად და 1:1.

გიორგი ძაძამიძე

იუვემ პოულსენით დაამთავრა

მარეკ ჰამშიკი

იტალიურმა „იუვენტუსმა“ ოფიციალურად გააფორმა კრისტიან პოულსენის ტრანსფერი. ტურინელებმა დანიელი 9,75 მილიონ ევროდ იყიდეს და „სევილიას“ ამ თანხას სამ ნაწილად გადაუხდიან: ახლა, მომავალი წლის ივლისში და 2010 წლის ივლისში.

28 წლის ფეხბურთელმა „ბებერ ქალბატონთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

პოულსენს იტალიაში კარგი სახელი რომ არ აქვს და „იუვეს“ ფანებს მისი მოსვლა რომ არ გახარებიათ, არახალია. მეტიც, კლუბის მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ თავისი განცხადებით კიდევ უფრო დასწყვიტა გული ქომაგებს — პოულსენი ჩვენი ბოლო შენაძენიაო.

ეს კი ნიშნავს, რომ აღარც ხაბი ალონსო იქნება და აღარც სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო და იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი მარეკ ჰამშიკი.

როგორც გაირკვა, ერთი წლის წინ „ბრეშას“ პრეზიდენტი ჯინო კორიონი ჰამშიკის კონტრაქტის ნახევარს 4 მილიონ ევროდ სთავაზობდა „იუვენტუსს“, „მილანსა“ და „ინტერს“, მაგრამ ვერცერთი ვერ დაიყოლია. საბოლოოდ კი სლოვაკი „ნაპოლიში“ გადაბარგდა და ახლა ცეცხლის ფასი ადევს.

„იუვენტუსი“ ამ ზაფხულს ცდილობდა ჰამშიკის ხელში ჩაგდებას და გარკვეულ თანხასთან ერთად ნეაპოლელებს ვინჩენცო იაკვინტას სთავაზობდა, მაგრამ ეს წინადადება „ნაპოლის“ პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისს სასაცილოდ არ ეყო — მარეკი იაკვინტაზე ათჯერ ძვირიაო.

კლაუდიო რანიერი: „პოულსენის ყიდვით ჩვენი გუნდი 99 პროცენტით დაკომპლექტებულია. ახლა მხოლოდ მეორე მეკარე გვაკლია. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკით და მადლობას ვუხდი ხელმძღვანელობას. კრისტიანის შეძენით იმ პროექტს ვაგრძელებთ, რომელიც წინა ზაფხულს დავიწყეთ. ვითხოვე თითო პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი და მივიღე კიდეც. ახლა ძალიან მაღალი კლასის ნახევარდაცვა გვყავს. ვისაც პოულსენის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება, სულ მალე დარწმუნდება, რომ ცდება“.

„როგორც ვთქვი, მინდა ქომაგები სასიამოვნოდ გავაკვირვო და ჩემზე აზრი შევაცვლევინო. ბევრს ჰგონია, რომ უხეში ფეხბურთელი ვარ, მაგრამ საკმაოდ კარგი ტექნიკაც მაქვს და არც პროვოკატორი გახლავართ. ვამაყობ, რომ „იუვენტუსში“ გადმოვედი და ვეცდები, რაც შეიძლება მალე, საუკეთესოდ გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები“.

რაც შეეხება მეორე მეკარეს, ამ პოზიციაზე კანდიდატად „იუვე“ „სიენას“ კარის ავსტრიელ დარაჯ ალექს მანინგერს განიხილავს.

გიორგი ძაძამიძე

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		18 ივლისი						
22:30	51	რიდი-კაფენბერგი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
		19 ივლისი						
21:30	50	რაპიდი-აუსტრია კერნტენი	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
		20 ივლისი						
19:00	52	ლინცერი-აუსტრია	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
21:30	53	ზალცბურგი-ალტახი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		16 ივლისი						
12:00	25	ენერგია-ზენიტი	5.60	3.70	1.55	2.22	1.21	1.09
16:30	26	ამკარი-ცსკა	3.30	3.00	2.20	1.57	1.32	1.26
19:00	27	რუბინი-სატურნი	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
		სლოვაკეთი. I ლიგა						
		19 ივლისი						
20:00	70	კოშიცე-რუჟომბეროკი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
21:00	72	სლოვანი-ბ.ბისტრიცა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
21:30	74	ნიტრა-სტრედა	1.45	3.70	6.15	1.04	1.17	2.31
		20 ივლისი						
21:00	71	ტრნავა-დუბნიცა	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
		21 ივლისი						
21:30	73	ჟილინა-ზლატე მორავცე	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
		დანია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
19:00	77	რანდერსი-ორპუსი	1.95	3.40	3.70	1.23	1.27	1.77
		20 ივლისი						
16:00	76	ჰორსენსი-სიონდერიისკე	1.55	4.00	5.70	1.11	1.21	2.35
19:30	78	ოლბორგი-მიდტიულანდი	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
18:00	80	ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ	3.80	3.40	1.90	1.79	1.26	1.21
		21 ივლისი						
21:00	75	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.45	4.10	6.80	1.07	1.19	2.55
		23 ივლისი						
21:00	79	ვეილე-ოდენსე	4.00	3.40	1.85	1.83	1.26	1.19
		შვედეთი. ალსვენსკა						
		16 ივლისი						
21:00	31	ჰალმსტადი-ელფსბორგი	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		16 ივლისი						
19:30	32	კტპ-ტურკუ	6.50	3.60	1.50	2.31	1.21	1.05
		იაპონია						
		16 ივლისი						
14:00	166	საპორო-ოიტა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
14:00	167	კიოტო-კაშიმა	2.85	3.40	2.10	1.55	1.20	1.29
14:00	168	კობე-იოკოჰამა ფმ	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
14:30	169	ტოკიო-გამბა	2.60	3.25	2.35	1.44	1.23	1.36
14:30	170	ნიიგატა-იჩიჰარა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
		17 ივლისი						
14:30	125	ურავა-ვერდი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
14:00	126	კაშივა-ომია	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78
14:00	127	კავასაკი-შიმიცუ	1.95	3.40	3.30	1.23	1.22	1.67
14:00	128	ივატა-ნაგოია	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		აშშ. MLS						
		18 ივლისი						
04:00	138	კოლამბუსი-კანზასი	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		17 ივლისი						
02:30	146	ბოტაფოგო-იპატინგა	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
03:30	147	პორტუგესა-ნაუტიკო	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
03:30	148	ფიგეირენსე-სანტოსი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
04:45	149	ვიტორია-სან პაულუ	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
04:45	150	კრუზეირო-ატლეტიკო პრ	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
04:45	151	პალმეირასი-ფლუმინენსე	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
02:30	152	სპორტ რისიფე-გრემიო	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		18 ივლისი						
03:30	153	ვასკუ და გამა-გოიასი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
03:30	155	კურიტიბა-ფლამენგო	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
		ჩილე. აპერტურა						
		16 ივლისი						
23:55	28	კოლო კოლო-ოსორნო	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		16 ივლისი						
19:00	211	აკტობე-შერიფი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
22:45	212	დროგედა-ლევადია	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
22:45	213	ლინფილდი-დინამო ზაგ	7.00	4.20	1.35	2.62	1.13	1.02
		უეფა. უეფას თასი						
		17 ივლისი						
16:00	215	შახტიორი ყარ-დებრეცენი	3.00	3.30	2.00	1.57	1.20	1.24
18:00	216	არარატი-ბელინცონა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
18:00	217	ტობოლი-აუსტრია	3.40	3.25	1.90	1.66	1.21	1.19
19:00	218	რიპო მინსკი-ჟილინა	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
19:00	219	ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
19:30	220	ჰონკა-აკრანესი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
19:30	221	ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი	5.00	3.60	1.50	2.09	1.15	1.05
20:00	222	ვეტრა-ვიკინგი	4.50	3.25	1.65	1.88	1.20	1.09
20:00	223	ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა	1.45	3.75	6.00	1.04	1.16	2.30
20:00	224	ჰაპოელ თ ა-დოგანა	1.05	9.00	21.00	1.00	1.00	6.30
20:00	225	ლენკორანი-ლეხი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	226	პელისტერ ბიტოლა-აპოელ 6	4.30	3.40	1.65	1.89	1.19	1.11
20:00	227	სუდუვა-ტნს	1.45	3.75	6.00	1.04	1.16	2.30
20:00	228	ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
20:15	229	მარსახლოკი-სლავენი	12.00	5.50	1.15	3.77	1.04	1.00
21:00	230	ომონია ნიქ-მილანო კუმანოვო	1.33	4.30	7.00	1.01	1.11	2.66
		უეფა. ევროპის ჩემპიონატი 19						
		17 ივლისი						
18:00	231	ჩეხეთი19-საბერძნეთი19	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
18:00	232	ესპანეთი19-უნგრეთი19	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	233	ინგლისი19-იტალია19	3.30	3.30	1.95	1.64	1.22	1.22
20:00	234	გერმანია19-ბულგარეთი19	1.45	3.90	5.75	1.05	1.15	2.32
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		16 ივლისი						
20:30	18	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	2.05	3.30	3.00	1.26	1.21	1.57
22:45	19	ბარტონი-დერბი	7.00	3.70	1.40	2.42	1.16	1.01
22:45	20	დანფერმლაინი-ჰარტსი	3.25	3.40	1.90	1.66	1.19	1.21
22:45	21	ექსეტერი-პორტსმუთი	8.00	5.00	1.25	3.07	1.08	1.00
22:45	22	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	3.50	3.50	1.80	1.75	1.18	1.18

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10019	ბარტონი-დერბი	5.80	2.10	1.75	1.54	1.34	1.00
10020	დანფერმლაინი-ჰარტსი	3.65	2.00	2.45	1.29	1.46	1.10
10022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10025	ენერგია-ზენიტი	5.00	2.20	1.90	1.52	1.37	1.01
10026	ამკარი-ცსკა	3.70	2.00	2.40	1.29	1.45	1.09
10027	რუბინი-სატურნი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10211	აკტობე-შერიფი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10212	დროგედა-ლევადია	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10213	ლინფილდი-დინამო ზაგ	5.80	2.10	1.75	1.54	1.34	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11019	ბარტონი-დერბი	8.50	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.00
11020	დანფერმლაინი-ჰარტსი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11025	ენერგია-ზენიტი	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11026	ამკარი-ცსკა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11027	რუბინი-სატურნი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	4.00	10.00	20.00	4.80	4,40	4.40	20.00	10.00	3.60
11211	აკტობე-შერიფი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11212	დროგედა-ლევადია	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11213	ლინფილდი-დინამო ზაგ	8.50	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.00

გოლი:ფსვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება ფსვილად)

17018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	1.85	1.95
17019	ბარტონი-დერბი	1.85	1.95
17020	დანფერმლაინი-ჰარტსი	1.85	1.95
17022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	1.85	1.95
17025	ენერგია-ზენიტი	1.85	1.95
17026	ამკარი-ცსკა	1.85	1.95
17027	რუბინი-სატურნი	1.85	1.95
17031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	1.85	1.95
17211	აკტობე-შერიფი	1.85	1.95
17212	დროგედა-ლევადია	1.85	1.95
17213	ლინფილდი-დინამო ზაგ	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში
(ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12025	ენერგია-ზენიტი	2,5	1.80	1.80
12026	ამკარი-ცსკა	2,5	1.60	2.10
12027	რუბინი-სატურნი	2,5	1.70	1.90
12031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	2,5	1.60	2.00
12211	აკტობე-შერიფი	2,5	1.70	1.90
12212	დროგედა-ლევადია	2,5	1.70	1.90
12213	ლინფილდი-დინამო ზაგ	2,5	2.20	1.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	3.00	2.80	2.00
15019	ბარტონი-დერბი	3.00	2.80	2.00
15020	დანფერმლაინი-ჰარტსი	3.00	2.80	2.00
15022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	3.00	2.80	2.00
15025	ენერგია-ზენიტი	3.00	2.80	2.00
15026	ამკარი-ცსკა	3.00	2.80	2.00
15027	რუბინი-სატურნი	3.00	2.80	2.00
15031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	3.00	2.80	2.00
15211	აკტობე-შერიფი	3.00	2.80	2.00
15212	დროგედა-ლევადია	3.00	2.80	2.00
15213	ლინფილდი-დინამო ზაგ	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირითადი დრო)

16018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	1.45	2.45
16019	ბარტონი-დერბი	4.20	1.15
16020	დანფერმლაინი-ჰარტსი	2.30	1.50
16022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	2.40	1.45
16025	ენერგია-ზენიტი	3.60	1.23
16026	ამკარი-ცსკა	2.30	1.48
16027	რუბინი-სატურნი	1.23	3.60
16031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	1.85	1.80
16211	აკტობე-შერიფი	1.40	2.55
16212	დროგედა-ლევადია	1.22	3.40
16213	ლინფილდი-დინამო ზაგ	4.20	1.15

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14018	გლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	1.75	2.10
14019	ბარტონი-დერბი	2.60	1.20
14020	დანფერმლაინი-ჰარტსი	2.20	1.70
14022	ჰერეფორდი-ვულვესჰემპტონი	2.30	1.65
14025	ენერგია-ზენიტი	2.50	1.30
14026	ამკარი-ცსკა	2.00	1.80
14027	რუბინი-სატურნი	1.45	2.40
14031	ჰალმსტადი-ელფსბორგი	1.95	1.85
14211	აკტობე-შერიფი	1.70	2.20
14212	დროგედა-ლევადია	1.30	2.50
14213	ლინფილდი-დინამო ზაგ	2.60	1.20

მთავარია კადრები

დავით უსტიაშვილი ისრაელმა დააფიქრა

დღეს გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიაში გაემგზავრა, სადაც მომავალი ევროჩემპიონატისთვის მოსამზადებლად საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. დავით უსტიაშვილის გუნდმა შარშან A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა და წლეულსაც იგივეს ეცდება, თუმც ეს რომ რთული გასაკეთებელი იქნება, თავად კალათბურთელებსაც კარგად მოეხსენებათ.

შარშანდელი შემადგენლობიდან არაერთმა წამყვანმა მოთამაშემ გადააბიჯა 20 წელს და შესაბამისად, ახალგაზრდულ ნაკრებს დაემშვიდობა. მომდევნო თაობიდან კი უსტიაშვილის გუნდმა სათანადო შევსება ვერ მიიღო და ამიტომაც ჩანს საძნელოდ A დივიზიონში თავის შემაგრება. ისე კი, ყველაფერი ხდება და ჩვენს ახალგაზრდებს წარმატების იმედი რომ არ ჰქონდეთ, მათ ვარჯიშსა და უცხოურ ტურნირზე გამგზავრებას რა აზრი ექნებოდა.

სწორედ იტალიაში უნდა შეიკრას ნაკრების ძირითადი ბირთვი, შემუშავდეს ტაქტიკა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ერთად თამაშის გამოცდილება უნდა მიიღონ. იტალიაში წასვლამდე 20-წლამდელებმა ბოლო ვარჯიში გუშინ დილას გამართეს დიღმის ბაზაზე, რის შემდეგაც **დავით უსტიაშვილს** გავესაუბრეთ

— ამაღამ მივფრინავთ და ხვალ უკვე ადგილზე ვიქნებით. ტურნირი ვენეციასთან ახლოს მდებარე დაბაში იმართება და 18-დან 20 ივლისამდე გაგრძელდება. იტალიაში ტურნირის დამთავრების შემდეგაც დავრჩებით და 22-ში უკან გამოვბრუნდებით.

— ალბათ შედეგზე ნაკლებად ფიქრობთ...

— რა თქმა უნდა, შედეგი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. ჩვენ ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებით და ეს მატჩები შესათამაშებლად, გამოცდილების დასაგროვებლად უნდა გამოვიყენოთ. თავიდან იტალიას ვხვდებით, შემდეგ საბერძნეთს და ბოლო მატჩი სლოვენიასთან გვაქვს. სამივე ნაკრები მოწინავედ ითვლება ევროპაში და მათთან სპარინგი ჩვენი გუნდის ბევრ პლუსსა თუ მინუს გამოაჩენს. იტალიაში მიიღებს ნაკრები დასრულებულ სახეს — გვეცოდინება, აქცენტი რაზე და ვისზე გავაკეთოთ.

— შემადგენლობა საბოლოოდ შეარჩიეთ?

— მიუხედავად იმისა, რომ შეკრებაზე მყოფი 13 მოთამაშიდან იტალიაში 12 მიგვყავს, შემადგენლობა საბოლოოდ არ შეგვირჩევია. იტალიაში არ მოდის გიორგი ივანიშვილი, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ის საბოლოო შემადგენლობაში მოხვდეს.

— ტრავმების მხრივ რა მდგომარეობაა?

— ამ მხრივ პრობლემები ჯერ-რაც გვაწუხებს, თუმცა უწინდელთან შედარებით ვითარება შესამჩნევად გამოსწორდა. დღეს ვერ ივარჯიშა რიჩარდ მათიაშვილმა, რომელსაც ქუსლის ტრავმის შემდეგ მხარი გაუმიზეზდა. ნოდარ შენგელიას უკეთესად აქვს 3 თვის წინ მოტეხილი ფეხით თითი და ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატისთვის ოპტიმალურ ფორმაში იქნება.

— როგორ ფიქრობთ, საკმარისი იქნება ეს 3 ამხანაგური მატჩი, როცა ჩვენმა მეტოქეებმა გაცილებით მეტი შეხვედრა ჩაატარეს?

— უმჯობესი იქნებოდა, მეტი მოსამზადებელი მატჩი გვეთამაშა, მაგრამ ფედერაციამ რაც მოახერხა, ესაა და ამისთვისაც მადლობლები ვართ. ჩვენმა მეტოქე ისრაელმა კი მართლაც გაგვაოცა — ჯერ რუსეთს მოუგო, შემდეგ კი იტალია სტუმრად 13 ქულით დაამარცხა. მართალია, ეს მოსამზადებელი მატჩებია და ყველა გუნდი ექსპერიმენტებს მიმართავს, მაგრამ ისრაელის ასეთი შედეგიანობა ცოტა დამაფიქრებელია. ჩვენი ვარაუდით, ჯგუფში სწორედ ისრაელთან გვექნება მთავარი ბრძოლა, რადგან თურქეთი და იტალია მაინც გამოკვეთილ ფავორიტებად ითვლებიან. იტალიელები 25 კანდიდატს ცდიან და იქიდან შეარჩევენ საუკეთესოებს, ჩვენ კი 13 მოთამაშე ძლივს შევაკოწიწეთ.

— დაბოლოს, რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს?

— ამაზე უფრო კონკრეტულ პასუხს იტალიიდან ჩამოსვლის შემდეგ მოგახსენებთ. ახლა ერთს ვიტყვი: ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი ეროვნული გუნდისთვის კადრების მომზადებაა. თუ A დივიზიონშიც შევინარჩუნებთ ადგილს და მომავალ თაობას ელიტაში თამაშის უფლება ექნება, ეს ორმაგად გაგვახარებს. ასე რომ, ჩვენ არაფერს დავიშურებთ სასურველი შედეგის მისაღწევად.

ახალგაზრდული ნაკრები იტალიიდან 22 ივლისს დაბრუნდება და ევროჩემპიონატისთვის მზადებას, რომელიც 1-10 აგვისტოს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება, თბილისში, დიღმის ბაზაზე განაგრძობს.

ირაკლი პერტაია

ბათუმი ევროპას მასპინძლობს

დღეიდან ბათუმში, საქართველოში პირველად, მშვილდოსნობაში იუნიორთა ევროპის თასის გათამაშება დაიწყება. ეს ტურნირი ამავდროულად ევროპის გრანპრის მე-2 ეტაპიც არის. 16-17 ივლისს ბათუმის სტადიონ „ანგისაზე" საკვალიფიკაციო რაუნდები გაიმართება. 18 ივლისიდან ჩუბინები პლეი ოფებში გაიჯვრებიან, ხოლო 19 ივლისს ბათუმის ცენტრალურ კორტებზე ფინალები ჩატარდება და შეჯიბრების შემდეგ იქვე დაჯილდოებაც მოეწყობა.

იმასაც გეტყვით, რომ ბათუმში 13 ქვეყნის ახალგაზრდა მშვილდოსნები გამოვლენ. საქართველოს იუნიორთა ნაკრების გარდა ტურნირზე ავსტრიის, პოლონეთის, სლოვენიის, ბელგიის, უკრაინის, ხორვატიის, სომხეთის, თურქეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და რუსეთის მშვილდოსნები გაისვრიან ისარს.

ზურაბ მიგრიაული

ქართველებმა წყვილად მოიგეს

ივლისის ბაშოს მე-3 დღე წარმატებული გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის. კოკაიდ წოდებული ლევან ცაგურია, რომელიც მიმდინარე ტურნირზე დასავლეთის მე-10 მაეგაშირას სტატუსით გამოდის, დასავლეთის მე-8 მაეგაშირა დეძიმასთან შერკინებაში გამარჯვებული გამოვიდა. „შავმა ზღვამ" ხატაკიკომით მოუგო მოწინააღმდეგეს. ახლა ლევან ცაგურას ანგარიშზე ორი გამარჯვებაა. იგი მომდევნო ორთაბრძოლას სამი მოგების პატრონ აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ტოჩინომანთან გამართავს.

ტოჩინოშინმა, ანუ იმავე ლევან გორგაძემ, დასავლეთის მე-16 მაეგაშირა ტიეხაკუხოს უვატენაგეთი სძლია. გორგაძემ კოკაის დარად მეორე გამარჯვება მოიპოვა. მორიგ ორთაბრძოლას ჩვენებური აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირა იოსიკაძესთან ჩაატარებს.

გაიმარჯვეს იოკოძუნებმა ასასიორუმ და ჰაკუხომ. ასასიორუმ აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა ამინისიკი იორკირის საშუალებით გაიყვანა დოჰიოდან, ხოლო ჰაკუხომ უვატენაგეთი წამოაქცია დასავლეთის პირველი მაეგაშირა ხაკანოხო. ასასიორუს მორიგი შეხვედრა მაეგაშირა ხოკუტორიკისთან აქვს, ჰაკუხო კი აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა ასასეკირიუს შეერკინება.

გასული ბაშოს გამარჯვებული ოძეკი კოტოოსიუ კიდევ ერთხელ დამარცხდა. მან კომოსუბი ტოიონოსიმასთან წააგო. ოძეკებიდან ჯერჯერობით წაუგებლად გამოდის კოტომიცუკი, რომელმაც ამჯერად ასასეკირიუ დასცა. მე-4 ბრძოლას კოტომიცუკი ოდენ ერთი მოგების მქონე, დასავლეთის მე-3 მაეგაშირა ტოჩინონადასთან ჩაატარებს.

ზურაბ მიგრიაული

ნაკრებმა გეგმები შეცვალა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი განრიგი თვეზე მეტია, გამოაქვეყნა. ახალი მწვრთნელის, სერბი იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით სამწვრთნელო შეკრება 25 ივლისს უნდა დაწყებულიყო, თუმც 2 დღის წინ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ახალი გეგმა შეიმუშავა. ცვლილებები ძირითადად თარიღებს შეეხო. სრულ გრაფიკს ქვემოთ გთავაზობთ, აქ კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ შეკრება აქამდე დათქმულ 25 ივლისის ნაცვლად 31 ივლისს დაიწყება.

ირაკლი პერტაია



საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი განრიგი

31 **ივლისი-4 აგვისტო** თბილისი, საწვრთნელი შეკრება საქართველოში მოთამაშე კალათბურთელთა გაფართოებული შემადგენლობისთვის

4 **აგვისტო** სამედიცინო შემოწმება

5-13 **აგვისტო** თბილისი, ნაკრების საწვრთნელი შეკრება

14-15 **აგვისტო** კიევი (უკრაინა), 2 საკონტროლო მატჩი უკრაინის ნაკრებთან

17-23 **აგვისტო** სტამბოლი (თურქეთი), ნაკრების საწვრთნელი შეკრება

24 **აგვისტო** გამგზავრება რიგაში (ლატვია)

26-27 **აგვისტო** რიგა (ლატვია), საერთაშორისო ტურნირი, მონაწილეები: საქართველო, ლატვია, ჩეხეთი, საფრანგეთი

28 **აგვისტო** გამგზავრება ვენაში (ავსტრია)

29-30 **აგვისტო** ვენა (ავსტრია), 2 საკონტროლო მატჩი ავსტრიის ნაკრებთან

31 **აგვისტო** გამომგზავრება თბილისში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

5 **სექტემბერი** საქართველო-ლუქსემბურგი, თბილისი

10 **სექტემბერი** ირლანდია-საქართველო, დუბლინი

13 **სექტემბერი** საქართველო-სლოვაკეთი, თბილისი

17 **სექტემბერი** შვედეთი-საქართველო, უმეო

დუბაი აქედანვე უნდა დაიგეგმოს

მერაბ კვირიკაშვილი (მარცხნივ)

ჰანოვერში, ევროპული შვიდკაცას ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა შესაშურად იჩაუქა, ტურნირის პირველ დღესვე დაიბევა საპლეიოფო და შესაბამისად საგაისო მსოფლიოს თასის საგზური და ნახევარფინალში მსაჯს დროზე ადრე რომ არ დაესრულებინა თამაში, ეგებ უელსისთვისაც მოეგო და ფინალში ეთამაშა.

თუმცა ახლა ეს აღარ არის მთავარი, რაკი ევროპაში მესამე ადგილი უკვე წარმატებაა. თანაც ჩვენები გაისად დუბაიში გასამართ მსოფლიოს თასზე ირაგბებენ.

დუბაის შვიდკაცა საქართველოს ნაკრებისთვის მესამე მსოფლიოს თასი იქნება. აქამდე ჩვენებმა 2001 და 2005 წლების მსოფლიოს თასზე ითამაშეს. 2001 წელს, არგენტინულ მარ დე პლატაში, მაშინ კლოდ სორელის გაწვრთნილმა ქართულმა შვიდეულმა დებიუტანტებისთვის კი საპატიოზე მეტი, მე-10 ადგილი დაიკავა, 2005 წელს კი ჰონკონგში შედეგი ერთი ადგილით გააუარესა.

ორივე მსოფლიოს თასზე ჩვენს შვიდკაცა ნაკრებში, ეროვნული ნაკრების ჩაუქი მორაგბეები თამაშობდნენ. ბოლო წლებია ახლანდელ თავკაცებს, კახა ალანიას და გიორგი ასათიანს, ჭაბუკებით უწევდათ რაგბობა და ჰანოვერის ეტაპზე კი ჩვენი რაგბის კავშირის დახმარებით რაზმი ოპტიმალურს მიუახლოვდა.

განსაკუთრებით მერაბ კვირიკაშვილი გამოირჩა, რომელმაც ჰანოვერის ეტაპის მელელოვებშიც და მექულეებშიც მეორე ადგილი დაიკავა. „მეკომ" ტურნირის სტარტზევე მარტომ მოაგებინა ჩვენებს რუსეთთან, არადა მატჩი კურიოზულად, 0:0 სრულდებოდა. კვირიკაშვილმა ბოლო წუთზე გაუტანა ლელო რუსებს და ტურნირის ბოლომდე კიდევ ხუთი ლელო მიითვალა.

საერთოდ, კვირიკაშვილი ყველანაირ რაგბის მალევე ულებს ალღოს. ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ჰანოვერის შვიდკაცას შემდეგ დუბაის მსოფლიოს თასის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა და შარშანწინ თბილისში, საქართველოს 13 კაცა ნაკრებშიც ზღაპრულად ირაგბა. იმედია, „მეკო" დუბაიშიც გაიბრწყინებს.

დუბაის მსოფლიოს თასი ემთხვევა ევროპის ერთა თასს. იმ პერიოდში ჩვენებს ესპანეთთან სტუმრად, შინ რუმინეთთან და კვლავ სტუმრად რუსეთთან უწევთ თამაში და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი ძირითად რაზმელებს ცხადია, საშვიდკაცოდ არ მოაცდენს. ამიტომ ახლავე უნდა მოხდეს კონტინგენტის ორად გამიჯვნა, რომ კახა ალანიასა და გიორგი ასათიანს მსოფლიოს თასამდე ერთი კვირით ადრე არ მოუწიოთ რაზმის შეკოწიწება-შეთამაშება.

ერთი სტატისტიკურად მონაცემიც: საქართველოში შვიდკაცა რაგბის სერიოზულად 1988 წლიდან თამაშობენ, 1992 წელს კი საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო დებიუტი ჰქონდა. აქედან მოყოლებული, ანუ 16 წლის განმავლობაში ჩვენებმა 45 ტურნირზე ითამაშეს, 242 მატჩიდან 127 მოიგეს, 114 წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

დაბოლოს, დუბაიში 24-გუნდა მსოფლიოს თასი გაიმართება. უკვე ცნობილია 15 ფინალისტი ნაკრები. დანარჩენი ცხრა საგზური კი აგვისტოს ბოლოს გათამაშდება. ამ ცხრა საგზურიდან სამი აფრიკის კონტინენტს ეკუთვნის, ორ-ორი კი აზიას, ზღვისპირეთს და ჩრდილოეთ ამერიკას შეხვდებათ.

ჰანოვერის შვიდკაცა

მექულეები

პედრუ ლეალი (პორტუგალია) 74
მერაბ კვირიკაშვილი (საქართველო) 52
მარტინ რობერტსი (უელსი) 45
იენ თითლი (ირლანდია) 38
მუსტაფა გიუნგორი (გერმანია) 36

მელელოვეები

ოლეგ კვასნიცია (უკრაინა) 7
პედრუ ლეალი (პორტუგალია) 6
მერაბ კვირიკაშვილი (საქართველო) 6
ხუან კანუ (ესპანეთი) 6

ევროპის ჩემპიონატი. ყველა ფინალი

2002 წელი
პორტუგალია 24:14 საქართველო
2003
პორტუგალია 26:21 საფრანგეთი
2004
პორტუგალია 21:14 იტალია
2005
პორტუგალია 28:26 რუსეთი
2006
პორტუგალია 19:7 რუსეთი
2007
რუსეთი 35:10 საფრანგეთი
2008
პორტუგალია 26:12 უელსი

საქართველო მსოფლიოს თასებზე

2001 წელი. არგენტინა
ჯგუფური ეტაპი
საქართველო 19:14 საფრანგეთი
საქართველო 24:0 ტაივანი
საქართველო 7:20 კანადა
საქართველო 12:24 ს. აფრიკა
საქართველო 0:19 კუკის კუნძულები
მე-9-10 ადგილებისთვის
საქართველო 24:19 ს. კორეა
საქართველო 17:10 უელსი
მე-9 ადგილისთვის
საქართველო 12:24 რუსეთი
2005 წელი. ჰონკონგი
ჯგუფური ეტაპი
საქართველო 0:47 ინგლისი
საქართველო 5:31 საფრანგეთი
საქართველო 7:36 სამოა
საქართველო 17:17 იტალია
საქართველო 27:21 ტაივანი
მე-10-11 ადგილისთვის
საქართველო 24:0 აშშ
საქართველო 5:29 პორტუგალია

მსოფლიოს თასი 2009

უკვე გავიდნენ: ფიჯი, ახალი ზელანდია, ინგლისი, ავსტრალია, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა, შოტლანდია, საუდის არაბეთი, ურუგვაი, პორტუგალია, უელსი, საქართველო, ირლანდია, იტალია

საქართველომ რუსეთს მსოფლიო და სორელი დააავიწყა

კახა ალანია

გია ნიჟარაძე

ბადრი ქეთილაძის ფოტოები

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ჰანოვერიდან გუშინ გამთენიისას დაბრუნდა და შუადღეს „სპორტ-კაფეში" პრესკონფერენციაც მოაწყო. პრესკონფერენციას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელი კახა ალანია, ნაკრების სპონსორის „BTA-სილქ როუდ" ბანკის წარმომადგენელი ირინა დუმბაძე და კაპიტანი გიორგი შკინინი დაესწრნენ...

გია ნიჟარაძე: „პირველ რიგში დიდი მადლობა „BTA" ბანკს, რომელმაც ალალად დაასპონსორა ჩვენი შვიდკაცა ნაკრები და ამ დიდ წარმატებაში ლომის წილი შეიტანა. მადლობა მწვრთნელს კახა ალანიას და ნაკრების ყველა წევრს, რომლებმაც პრაქტიკულად საოცრება მოახდინეს, სულ რაღაც ათ-თორმეტ დღეში კონკურენტუნარიანი ნაკრები მოამზადეს და საგაისო მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს. მე ვიყავი, ჰანოვერში და ყველანაირი გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრებმა მართლაც ფურორი მოახდინა, რაც ტურნირზე მყოფმა მსოფლიო და ევროპული რაგბის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს კიდეც. იცით, პირველ მატჩში ჩვენებმა რუსეთი დაამარცხეს, არადა, რუსები ამბობდნენ, უკვე მსოფლიოს თასზე ვართო. საბოლოოდ მათ მეცხრე ადგილი დაიკავეს და მსოფლიოს თასზე ვერ გავიდნენ. როგორც გავიგე, ამ წარუმატებლობას მათი მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი შეეწირა, რომელიც რუსეთის ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობს. ამის შემდეგ ჩვენებმა მართლაც მძიმე მატჩებში დაამარცხეს რუმინეთი, მასპინძელი გერმანია და პირველივე დღეს მოიპოვეს მსოფლიოს თასის საგზური. ჯგუფის ბოლო მატჩში პორტუგალიასთან, ძალიან ბევრი ტრავმირებული მორაგბე გვყავდა და კახა ალანიამ ისინი საპლეიოფოდ დაასვენა, ასე რომ, პორტუგალიასთან წაგება, შეიძლება ითქვას, „დაგეგმილი" იყო. როგორც იცით, ნახევარფინალში უელსს შევხვდით. ბიჭებმა რასაც ჰქვია, თავი დადეს. მეტოქეს ეგონა, თბილისის ტურნირზე იოლად რომ მოგვიგო, ახლაც ასე იქნებაო, მაგრამ რეალურად როცა დაინახა, მარცხთან ახლოსვარო, ინტრიგანობა დაიწყო. რუმინელმა მსაჯმაც დროზე ადრე დაამთავრა მატჩი. უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ უელსელები, მთელი დელეგაცია ტურნირის ორგანიზატორებთან დარბოდა და გაიძახოდა, დრო დასრულდა, მატჩი დაამთავრეთო. ერთი სიტყვით, ისტერია დაემართათ, არადა ცენტრიდან ჩვენ უნდა დაგვეწყო და დარწმუნებული ვარ, გამარჯვების ლელოსაც გავიტანდით".

კახა ალანია: „მადლობა ბიჭებს, რომ თავდაუზოგავად იბრძოლეს და უმოკლეს დროში ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოყალიბდა. ჩვენ უკვე საგაისო მსოფლიოს თასზე ვფიქრობთ და დეკემბრიდან სამ-ოთხ მსოფლიო ეტაპზე ვითამაშებთ, სადაც უკვე მივილეთ მიპატიჟება. ესენია ჰონკონგის, დუბაის, ლუნელის და ლონდონის ეტაპები. საგაისო მსოფლიოს თასი, ევროპის ერთა თასის მატჩებს ემთხვევა. ცხადია, ასეთ დროს, პირველ რიგში ეროვნული ნაკრების ინტერესი დგას და ჩვენც მწვრთნელის ტიმ ლეინის ჩამოსვლას ველოდებით. მასთან და რაგბის კავშირის უფროსობასთან ერთად სამომავლო გეგმას დავსახავთ. დარწმუნებული ვარ, საერთო ენას გამოვნახავთ და გვეცოდინება რომელი ნაკრები რა კონტიგენტით მოვემზადებით".

ირინა დუმბაძე: „ჩვენი ბანკი ამაყია, რომ სათამაშო სახეობებში ლიდერი ნაკრები დააფინანსა და მას წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა. ჩვენ გრძელვადიანი და საფუძვლიანი თანამშრომლობა გვსურს და ქართულ რაგბის მომავალშიც ყველანაირად გვერდში დავუდგებით".

ბაჩო სვანიძე

გამოშვიდობება თიხნართან

2008 წლის საჩოგბურთო სეზონის სათიხნარო სეგმენტი ბოლო დღეებს ითვლის — ამ კვირას სამი საგრუნტო ტურნირი ჩათამაშდება და შემდეგ ყველა ისევ ჰარდს დაუბრუნდება. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ აგვისტოს პირველ ნახევარში იქნება ბუქარესტის ტურნირის სახით, სადაც მეჩოგნეები ისევ გრუნტზე წაითამაშებენ. თუმც მაინც საეჭვოა, რომ რუმინეთის დედაქალაქს რომელიმე სერიოზული ჩოგბურთელი ეწვიოს. სწორედ ამიტომ, მიმდინარე კვირის მიწურულს სათიხნარო სეზონი სუფთა სინდისით შეგვიძლია, დასრულებულად გამოვაცხადოთ.

ამის შემდეგ უკვე ამერიკული ჰარდის დრო დგება, რაც წესით, თვენახევარი უნდა გაგრძელებულიყო და შემდეგ აშშ-ს ღია პირველობით დაგვირგვინებულიყო. თუმც წლეულს საჩოგბურთო ცხოვრების ჩვეულ რიტმს ოლიმპიადა დაარღვევს და ეტყობა, სერიოზულადაც — საქმე იმაშია, რომ ბობოლათა ნაწილი ჯერ კიდევ ორჭოფობს, ოკეანისგადმეთში გამგზავრება და იქაურ მასტერსებზე თამაში ჯობს, თუ პირდაპირ აზიაში წასვლა და იქ მომზადება. ამაზე უკვე ისაუბრეს როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა და ორივემ ერთხმად განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ულირთ თუ არა აშშ-ში ჩასვლა. ისე, ეს დუეტი თუ მართლა პირდაპირ აზიაში წასვლას გადაწყვეტს, მაშინ კარგა ხანს დიდი სანახაობის გარეშე მოგვიწევს დარჩენა.

ჩვენ კი უკვე დაწყებულ ტურნირებს მივუბრუნდეთ. ამ კვირაში კაცები ოთხ სხვადასხვა ქალაქში არიან გადანაწილებულნი და ჩვენც თითოეულს სათითაოდ შევეხებით. ერთი ეგაა, რომ ბობოლები ისევ უქმობას ამჯობინებენ და ამიტომაც ამ ტურნირებს ჩვეული ეშხი აკლია.

ავსტრიული კიცბუელით დავიწყოთ და ისიც იმიტომ, რომ პირველ დღეს იქ მაგარი თქეში იყო და ამის გამო მატჩები თითქმის არც გამართულა. ასე რომ, მოსაყოლი აქ არც არაფერია.

სამაგიეროდ, ბუნებამ კორტზე გასვლის უფლება მეჩოგნეებს ხორვატულ უმაგში მისცა, სადაც რამდენიმე საინტერესო შეხვედრაც გაიმართა. ჩვენ ფილიპო ვოლანდრის მოგება გამოვყოთ, რომელმაც თანამემამულე ფაბიო ჩიპოლა მიჩოგნა, 6:1 6:4. ამ შეხვედრაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ვოლანდრიმ გუშინ 9 მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა — საცოდავ აპენინელს აპრილიდან მოყოლებული გამარჯვების გემო არ გაესინჯა, მაგრამ ახლა თავისთვის ძალიან უიღბლო სერია, როგორც იქნა შეწყვიტა. ისე, უმაგში ამ იტალიელს ყოველთვის კარგად გამოსდიოდა თამაში — მინიმუმ მეოთხედფინალში გადიოდა ხოლმე, 2003-04 წლებში კი სულაც ფინალებამდე მიაღწია, თუმც ერთხელაც ვერ იხეირა.

მოიგო კიდევ ერთმა იტალიელმა ფაბიო ფონინიმ, რომელიც 18 წლის ლატვიელ რიკარდას ბერინკისს გაუმკლავდა. ტურნირის მთავარი ფავორიტები — ფერნანდო ვერდასკო, ივო კარლოვიჩი და იგორ ანდრეევი კი მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთვებიან საქმეში.

კიდევ ერთი სათიხნარო ტურნირი ჰოლანდიურ ამერსფორტში იმართება, სადაც ბევრი საინტერესო რამ გველის. აქ თან ჯგუფური სისტემით თამაშობენ და სანამ მეოხთედფინალური წყვილები საბოლოოდ არ დაკომპლექტდება, ძნელი სავარაუდოა, რა მოხდება. ერთი ის ვთქვათ, რომ თავისიანები მაგრად გაახარა ჯეს ჰუტა გალუნგმა, რომელმაც პირველ სეტში 6:1 გადაურბინა სანტიაგო ვენტურას, მეორეს დასაწყისში კი ესპანელმა თეთრი დროშა გამოფინა და მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

აშშ-ს ქალაქ ინდიანიპოლისში უკვე გაიხსნა ზემოთ ნახსენები ამერიკული ჰარდის სეზონი. სხვა ტურნირებთან შედარებით, აქ საკმაოდ სოლიდური შემადგენლობაა თავმოყრილი პირველ ნომრად განთსილი ჯეიმს ბლეიკის თამადობით.

კარგად დაიწყო მოქმედმა ჩემპიონმა დმიტრი ტურსუნოვმა, რომელიც თანამემამულე იგორ კუნიცინს მოერია, 6:3 7:5. არადა, ამ უკანასკნელს შეეძლო, ტურსუნოვისთვის დამატებითი პრობლემების შექმნა, როცა მეორე სეტში 4:1-ს იგებდა, მაგრამ კლასით უფრო მაღალმა რუსმა მომდევნო 7 გეიმიდან 6 თავის სასარგებლოდ დაასრულა და მეორე წრეში გაიკვალა გზა.

კარგი დებიუტი გამოუვიდა მეორე ნომრად განთესილ ჟილ სიმონსაც, რომელმაც ასევე თანამემამულე ნიკოლა მაჰუ დაჩაგრა, თუმც ამას სამი სეტი შეალია, 6:2 3:6 6:3. ნამატჩევს სიმონი წუწუნებდა — ამერიკაში ახალი ჩამოფრენილი ვარ და სასაათო სარტყლის შეცვლას ჯერ ვერ შეეგუე, მაგრამ ორგანიზატორებმა არაფრის დიდებით არ მომცეს დასვენების უფლება და მაინდამაინც ტურნირის პირველი დღეს მათამაშესო.

ანალოგიური მდგომარეობაა ქალთა შორისაც, სადაც ასევე სრულდება თიხნარის სეზონი. ამ კვირას ლამის ბოლო საგრუნტო ტურნირი იმართება ავსტრიულ ბედ გაშტაინში, რომელსაც დაწყება ზემოთ უკვე ნახსენებმა წვიმამ არ აცალა.

სამაგიეროდ, ფრიად საინტერესო მოვლენებს ველით ამერიკული სტენფორდიდან, სადაც თამაში თვით სერენა უილიამსმაც იკადრა. შეიძლება, შემადგენლობა კიდევ უფრო სერიოზული ყოფილიყო, მაგრამ ტრავმამ კორტზე გასვლის ნება არ მისცა ლინდსი დევენპორტს.

კახა ლომკუბილი

კუხალაშვილმა ჩიხლაძე გაუშვა

თბილისი. თიხა. საპრიზო 15 000 დოლარი

მეორე წრე

მატეო მარრაი (1, იტალია) — იდან მარკი (ისრაელი) 6:2 7:6(3)
შარლ როუმე (საფრანგეთი) — ვიკტორ კოზინი (რუსეთი) 6:2 6:1
ანდრეი ალიევნი (რუსეთი) — პეტარ პოპოვიჩი (8, საფრანგეთი) 7:5 4:6 6:2
ლაზარე კუხალაშვილი (საქართველო) — ლადო ჩიხლაძე (3, საქართველო) 7:5 6:2
ვადიმ ალექსეენკო (უკრაინა) — ვაჯა აზაკოვი (უზბეკეთი) 6:2 4:6 6:4
სიარეი ბიტაუ (ბელარუსი) — მატეუ ვოლანტე (4, იტალია) 6:1 6:1
გვიდას საბესკისი (7, ლიტვა) — ვიშნუ ვარდანი (ინდოეთი) 6:4 1:6 6:1
აუოტ გეორძიანი (სომხეთი) — ალექსანდრე გიგიტაშვილ (რუსეთი) 6:3 6:3
დევიდ სავიჩი (2, სერბეთი) — ალექსეი ფილენკოვი (რუსეთი) 6:0 6:3

ლაზარე კუხალაშვილი

გუშინ „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კორტებზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე ძირითადი ბადის მე-2 წრის შეხვედრები გაიმართა. ქართველი გულშემატკივრებისთვის ყველაზე საინტერესო ლადო ჩიხლაძისა და ლაზარე კუხალაშვილის მატჩი გამოდგა. მართალია, ჩიხლაძე ტურნირზე მე-3 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ მას ტრავმა ახლად მოშუშებული ჰქონდა და ამიტომ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ბრწყინვალედ მოთამაშე კუხალაშვილს.

საკმაოდ ადვილად მოიგეს თავიანთი შეხვედრები ტურნირის პირველმა ნომერმა იტალიელმა მატეო მარრაიმ და მეორე ნომერმა დევიდ სავიჩმა. მარრაი ისრაელის წარმომადგენელს მარკ იდანს გაუსწორდა, ხოლო სავიჩმა რუსი ალექსეი ფილენკოვი გაანადგურა.

ჯერჯერობით გაურკვეველია მერვედფინალში კიდევ ერთი ქართველის ნოდარ ითონიშვილის მეტოქე, ვინაიდან რუსი ანდრეიმირ კარანაშევსა და მეხუთე ნომრად განთესილ ლატვიელ დენის პავლოვსს შორის შეხვედრა წვიმის გამო გადაიდო.

ზურაბ მიგრიაული

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil
№ 1 საავტომობილო ზეთი

ნორბერტ ჰაუგი და ლუის ჰემილტონი

მერსედესის საშინაო რბოლა

კარგი პერიოდი უდგას ინგლისურ-გერმანულ საპირველფორმულო გუნდ „მაკლარენ-მერსედესს“. ამ ათიოდე დღის წინ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი გათამაშდა სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომზე და სილვერსტოუნი კი „მაკლარენის“ საშინაო ტრასაა. დამდეგ უქმეებზე კი გერმანიის დიდი პრიზია ჰოკენჰაიმრინგის ტრეკზე და ეს ავტოდრომი „მერსედესის“ შინაური ასპარეზია.

თანაც სილვერსტოუნზე ინგლისურ-გერმანული საჯინიბოს ინგლისელმა მრბოლმა, ლუის ჰემილტონმა ბრწყინვალე სტილში იმარჯვა და კვლავ ჩაერთო საჩემპიონო ბრძოლაში.

სილვერსტოუნით ჩემპიონატის პირველი ნახევარი დასრულდა, ჰოკენჰაიმში კი მეორე იწყება და ამ ყველაფერთან დაკავშირებით, „მერსედეს მოტორსპორტის“ ვიცეპრეზიდენტი ნორბერტ ჰაუგი საუბრობს.

— ჰოკენჰაიმრინგზე ჩვენი გუნდის უამრავი ქომაგი იქნება. ათასამდე კაცი, მხოლოდ „მერსედეს-ბენცის“ თანამშრომლები მოვლენ. ეს ჩვენი საშინაო ტრასაა და ვეცდებით, ისეთივე წარმატებით გამოვიდეთ, როგორც სილვერსტოუნზე.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ნახევარში გენერალურ კლასიფიკაციას ოთხი სხვადასხვა ლიდერი ჰყავდა, რომლებიც სამ საჯინიბოს წარმოადგენდნენ, ხოლო ამ წუთისთვის საერთო ჩათვლის თაეში, ერთბაშად, სულაც სამი პილოტია.

ამ სამიდან ერთი ჩვენს გუნდს წარმოადგენს და ეს მშვენიერია. სილვერსტოუნზე ჰეიკი კოვალაინენმა პოული მოიპოვა, ხოლო ლუის ჰემილტონმა დიდებულ სტილში მოიგო რბოლა და ჰოკენჰაიმურ ეტაპს იმის მტკიცე გადაწყვეტილებით ვხვდებით, რომ კვლავ გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

მართალია, „მაკლარენ-მერსედესს“ ჰოკენჰაიმრინგზე უკვე ათი წელია არ მოუგია, მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლო ორ შემთხვევაში, ჩვენ ორი პოული გვქონდა, ორჯერ პოდიუმზე ავედით და ერთი უსწრაფესი წრეც ჩავიწერეთ აქტივში.

ახლა მეტი, ანუ გამარჯვება გვინდა. ბოლო ტესტებზე გამოჩნდა, რომ პროგრესის გზას ვადგავართ და უკვე ძალიან სწრაფები ვართ.

გუდის ერთ-ერთ შეფს მხარი თავად ლუის ჰემილტონმაც აუბა. „2005 წელს აქ ფორმულა 3-ის ეტაპი მოვიგე და 2006-ში კი, როდესაც GP2-ის სერიაში გამოვდიოდი, პირველ ჯერზე მეორე ვიყავი, შემდეგ კი — მესამე. ჰოკენჰაიმრინგი არ არის რთული ტრასა და იმის გათვალისწინებით, რომ სადღეისოდ ჩვენი მანქანა არნახულად ეფექტურია, წარმატების საკმაოდ დიდი შანსები გვაქვს“ — განაცხადა „მაკლარენ-მერსედესის“ ტოპ-პილოტმა.

კახა ლომაძე

ფოლკსვაგენმა პირველი ფორმულა იუარა

ბოლო ხანებში საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ გერმანული ავტოგიგანტი „ფოლკსვაგენი“ თანამემამულეების, „მერსედესისა“ და BMW-ს კვალად ფორმულა 1-ში აპირებს მისვლას, თუმცა „ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელობა კატეგორიულად გამორიცხავს ამის შესაძლებლობას, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი სამი წლის მანძილზე მაინც.

„რა თქმა უნდა, ისეთი მსხვილი ავტომწარმოებელისთვის, როგორიც „ფოლკსვაგენია“, ფორმულა 1 საკმაოდ სანიტერესო სამყაროა, მაგრამ ამ სამყაროში ჯერჯერობით საკმაოდ ბევრი რამ არის გაურკვეველი, თუნდაც რეგლამენტის თვალსაზრისით. ამიტომაც უახლოესი სამი წლის მანძილზე „ფოლკსვაგენი“ „სამეფო რბოლებში“ მონაწილეობას არანაირად არ გეგმავს“ — განაცხადა გერმანული ავტოკონცერნის წარმომადგენელმა ჰანს-იოახიმ შტუკმა.

კახა ლომაძე

ლეკავალიე კარიერას ტამპაში დაასრულებს ცივი ომი ჰოკეის ფრონტზე



ვენსან ლეკავალიე

ვენსან ლეკავალიე „ტამპაში“ რჩება — და რჩება კარიერის ბოლომდე. მორჩა და გათავდა. კანადელმა სუპერვარსკვლავმა 11-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ფლორიდულ გუნდთან, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ლეკავალიე კარიერას სწორედ „ელვებში“ დაასრულებს. თავად 28 წლის ჰოკეისტი ჯიბეებს 85 მილიონით შეივსებს. კონტრაქტი ძალაში შემდეგი წლის 1 ივლისიდან შევა.

ამით საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო ყოველგვარ ჭორებს, რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე წელია, ლეკავალიეს ხან ერთ გუნდში უშვებდა, ხან — მეორეში. განსაკუთრებით ხშირად „მონრეალის“ სახელი ისმოდა — ბავშვობაში ვენსანი სწორედ ამ გუნდის თავგადაკალული გულშემატკივარი იყო და „კანადიენსში“ თამაში მისი ოცნებაო, ამბობდნენ. მონრეალელი გულშემატივრებიც მოუთმენლად ელოდნენ ამ დღის დადგომას, რადგანაც გუნდს უკვე კარგა ხანია, არ ჰყოლია ფრანკო-კანადელი ლიდერი.

თუმც თავად ლეკავალიემ კარიერის ერთ ადგილას გატარება ისურვა და დარჩა გუნდში, რომელმაც ის დრაფტზე აიყვანა. ჰოკეისტს გადაწყვეტილება საბოლოოდ ალბათ „ტამპას“ ახალ მფლობელებთან გასაუბრებამ მიაღებინა, რომლებმაც ვენსანი დაარწმუნეს, რომ ძლიერი შემადგენლობის შეკრებასა და სტენლის თასისთვის ბრძოლას აპირებენ. ლეკავალიესაც ბევრი აღარ უფიქრია და „ტამპას“ ახალ კონტრაქტზე მალევე შეუთანხმდა.

„ტამპას“ გულშემატკივრებს ერთი კარგი ამბავი კიდევ წინ ელოდათ — ლეკავალიეს თანხმობის შემდეგ დარჩენა მოინდომა ვეტერანმა კრის გრეტონმაც, რომლის გამოცდილებაც გუნდს დამდეგ სეზონში ფრიად წაადგება.

ყველაფერ ამის პარალელურად ერთი უცნაურობაც მოხდა — გუნდი დატოვა გენერალურმა მენეჯერმა ჯეი ფისტერმა. ძნელი სათქმელია, თავად ფისტერს არ აწყობდა რამე, თუ ახალ მფლობელს არ უნდოდა ძველი კაცის დატოვება, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ფლორიდულმა გუნდმა ძალიან გაქნილი და ჰოკეიში კარგად ჩახედული ფუნქციონერი დაკარგა.

ლეკავალიეს კონტრაქტის გარდა ბოლო დღეებში უმთავრეს სალაპარაკო თემად ნჰლ-სა და რუსეთში ახლად ჩამოყალიბებულ კონტინენტურ ლიგას შორის ურთიერთობების დაძაბვა რჩება.

მოგეხსენებათ, რუსებმა ახალი ლიგის მშენებლობა წამოიწყეს, რომელმაც წესით კონკურენცია უნდა გაუწიოს ნჰლ-ს. რუსმა ბიზნესმენებმა უკვე უამრავი ფული ჩაყარეს თავიანთ წამოწყებაში — აკი სწორედ მაღალი ხელფასებით ცდილობენ ისინი დიდი ვარსკვლავების ჩამოტყუებას. ჯერჯერობით რუსებმა მხოლოდ იარომირ იაგრი დაითანახმეს. სამაგიეროდ, ახალ ლიგაში თამაში ბევრმა რუსმა ჰოკეისტმა იუარა და უმეტესობა ისევ ოკეანისგაღმეთში გეგმავს დაბრუნებას.

რამდენიმე დღის წინ ორ ლიგას შორის თითქოს ყველაფერი გაირკვა — ნჰლ-ისა და კონტინენტური ლიგის წამყვანმა პირებმა ჯენტლმენური შეთანხმება დადეს, რომლის თანახმადაც ისინი პატივს სცემდნენ ჰოკეისტთა მოქმედ კონტრაქტებს და არ ეცდებოდნენ მოთამაშეთა გადაბირებას. მაგრამ ახალი სკანდალი ატყდა, როცა „ნეშვილის“ ახალგაზრდა ფორვარდმა ალექსანდრ რადულოვმა განაცხადა, ამერიკაში თამაში აღარ მინდაო. ცოტა ხანში გაირკვა, თუ რამ იმოქმედა ჰოკეისტზე. საქმე იმაშია, რომ უფურმა „სალავატ იულაევმა“ სამწლიანი და 24 მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა რადულოვს. ამ დროს კი რუსი „ნეშვილში“ მხოლოდ 980 000-ს იღებს.

წმინდა ადამიანურად, რადულოვის გაგება ნამდვილად შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კონტრაქტით მან კიდევ ერთი წელი უნდა ითამაშოს „ნეშვილში“ და ამას წყალი არ გაუვა. რუსებმა სულ თავი რომ გაიგიჟონ, ამას ვერსად გაექცევიან — კონტრაქტის პირობები დაცულ უნდა იქნეს, თუ არადა სანქციები არ ასცდებათ.

თავისი სიტყვა უკვე თქვა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რენე ფაზელმა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ კონტრაქტის პირობები დაირღვა, მაშინ ის რუსეთის ნაკრებსა და რუსულ კლუბებს არ მისცემს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას — ანუ თუ რუსები გაჯიუტდნენ, შეიძლება ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დარჩნენ.

ამის მიუხედავად, რუსები უკან დახევას არ აპირებენ — კონტინენტური ლიგის პრეზიდენტმა ალექსანდრ მედვედევმა საპასუხო ბრალდება წამოაყენა და ფაზელს მოსთხოვა, გამოიძიოს „კოლუმბუსისა“ და ახალბედა ნიკიტა ფილატოვის კონტრაქტის დეტალები. მედვედევი ამტკიცებს, ფილატოვს ცსკა-ში კიდევ ერთი წელი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ამერიკელებმა ჩვენი შეთანხმება დაარღვიეს და მაინც წაიყვანეს ეს ნიჭიერი ბიჭიო.

მოკლედ, დიდი ამბებია მოსალოდნელი. ვნახოთ, რა მოხდება. ისე კი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნჰლ-სა და კონტინენტურ ლიგას შორის ცივი ომი უკვე დაიწყო.

ძახა ლომაშვილი

ულისეს სოლისი

სოლისს ქამარი არ ეთმობა

მექსიკელმა ულისეს სოლისმა კიდევ ერთხელ შეძლო თავისი საჩემპიონო ქამრის დაცვა.

რაც 2006 წლის იანვარში სოლისმა უილ გრიგსბის უმსუბუქეს წონაში IBF-ის ტიტული აართვა, მას შემდეგ დიდ გაწამაწიაშია. ამ ორ წელიწადში მას უკვე მეშვიდედ მოუწია რინგზე საჩემპიონო ქამრის შესანარჩუნებლად გასვლა და მექსიკელმაც მეშვიდედ შეძლო ტიტულის დაცვა.

ამჯერად პრეტენდენტის როლში გლენ დონეირი გამოდიოდა და მოკრივეებმაც გვარიანად უბრაგუნეს ერთმანეთს, თუმც საბოლოოდ სამივე მსაჯმა მაინც სოლისის მხარე დაიჭირა და გამარჯვება მას დარჩა.

ძახა ლომაშვილი

სანტოსის მესამე ტიტული



გასულ უქმეებზე პუერტორიკოელმა დანიელ სანტოსმა კარიერაში მესამედ მოირგო საჩემპიონო ქამარი, როცა მონრეალში პირველ საშუალო წონაში WBA-ს ვერსიით ჩემპიონი იოაჰიმ ალსინე ნოკაუტით დაამარცხა.

სანტოსმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე, რომელიც რატომღაც თავიდანვე ძალიან ნერვიულობდა. ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ ჰაიტური წარმოშობის ალსინე კარგა ხანია, მონრეალში ცხოვრობს და ფაქტობრივად, საკუთარი ტრიბუნების წინ უწევდა ჩხუბი, რამაც ის აშკარად შებოჭა.

პუერტორიკოელი მალევე დაეუფლა უპირატესობას, რომელსაც რაუნდიდან რაუნდამდე ზრდიდა. საბოლოოდ სანტოსმა 8 000 კანადელი მეექვსე რაუნდში დაადუმა, როცა უძლიერესი კომბინაცია გაატარა — ჯერ მარჯვენა ჯებით მისწვდა მეტოქეს, შემდეგ კი მძლავრი მარცხენა ჰუკით ფიცარნაგს გააკრა. ალსინემ წამოდგომა კი სცადა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და ისევ ძირს გაიშხლართა, რის შემდეგაც მთავარმა მსაჯმა ნოკაუტი დააფიქსირა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სანტოსისთვის ეს მესამე ტიტულია. აქამდე ის 1999-2001 წლებში WBO-ს ტიტულს ფლობდა ნახევრადსაშუალო წონაში, 2002-05 წლებში კი WBO-ს ვერსიით იყო ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში, სანამ ტიტული უკრაინელ სერგეი ძინძირიუკს არ დაუთმო.

ახლა კი ვნახოთ, სანტოსი ამ ტიტულს როდემდე შეინარჩუნებს.

ძახა ლომაშვილი

95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

წამება წამად დაფასდა

კედელ ევანსი

გუშინ რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსზე" პირველი დასვენების დღე იყო — პირინეების ურთულესი უღელტეხილების მოვლის შემდეგ ველოქარავანს სულის მოთქმის და ჭრილობების მოშუშების საშუალება მიეცა.

ჭრილობების მოშუშება პირდაპირ მნიშვნელობითაც იგულისხმება — განვლილ ათ ეტაპზე ხომ არაერთი მრბოლი დაეცა, დაშავდა და ასეთ პირობებში ბევრი მათგანისთვის „ტურის" გზა წამებად იქცა.

თუნდაც კედელ ევანსი ავიღოთ, რომელიც მეცხრე ეტაპზე დაეცა და იდაყვი, თეძო და მუხლი დაიზიანა. ავსტრალიელის ბედად, ამ დაცემისას მას ლავიწის ძვალი არ დაუშავდა, არადა ადრე არაერთხელ გატეხია. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, როდესაც არანაირი მოტეხილობა არ აღინიშნა, კედელი ურთულესი, მეათე ეტაპის გზას დაადგა, ტკივილებს ბოლომდე გაუძლო და ამ წამების შემდეგ გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი გახდა ოდენ ერთწამიანი უპირატესობით.

„წინა ეტაპზე დაცემის შემდეგ ვფიქრობდი, რომ წლევანდელი „ტური" ჩემთვის დამთავრდა, მაგრამ საბედნიეროდ გავუძელი და ახლა სულის მოთქმის საშუალებაც მაქვს" — თქვა ევანსმა და გაიხსენა, თუ ოტაკამის აღმართში დასრულებული ეტაპის შემდეგ რომელ მრბოლებს მოურგიათ ლიდერის ყვითელი მაისურა.

აქ აღსანიშნავი ის არის, რომ სამ მრბოლს, რომელიც ოტაკამის შემდეგ ლიდერი ყოფილა, შემდეგ პარიზში ტრიუმფიც გადაუხდია — 1994 წელს მიგელ ინდურაინს, 1996 წელს ბიარნე რიისს და 2004 წელს ლენს არმსტრონგს.

ევანსისგან განსხვავებით, ტკივილებს ვერ გაუძლო ალეხანდრო ვალვერდემ, რომელიც უფრო ადრე დაეცა და ბოლო ეტაპებზე მარჯვენა ხელ-ფეხზე სახვევებდადებული გამოდიოდა. ანდა, იქნებ აქ ტკივილი არაფერ შუაშია და უფრო ფსიქოლოგიურ პრობლემებთან გვაქვს საქმე. 2004 წელს, როდესაც ერთ-ერთ სამთო ეტაპზე თვით ლენს არმსტრონგს აჯობა, ლეგენდარულმა ამერიკელმა ვალვერდეზე თქვა, ეს ბიჭი მომავალი ჩემპიონიაო. ამ სიტყვების ძალა დღემდე მოდის — ვალვერდე პოსტარმსტრონგულ ეპოქაში მუდმივად ფავორიტად ითვლება, მაგრამ ვერაფრით ახერხებს გაცემული ავანსების გამართლებას.

გუშინწინ ის ტურმალეს აღმართში ჩამორჩა, მანამდე ინდივიდუალურ რბოლაშიც დამარცხდა და ახლა ევანსთან 4 წუთსა და 41 წამს აგებს. დიდი სხვაობაა, თუმც მეორეს მხრივ, სამი ურთულესი ალპური ეტაპი ჯერ კიდევ წინაა და „კაის დეპარნის" ლიდერი იმედოვნებს, რომ იქ შეძლებს დანაკარგის ანაზღაურებას.

ტურმალეს აღმართში ვალვერდემ დანიური CSC-ის მრბოლების მიერ შემოთავაზებულ საშინელ ტემპს ვერ გაუძლო. იენს ფოიგტი და ფაბიენ კანცელარა კარლოს სასტრესა და ძმებს, ფრენკ და ენდი შლეკებს ლოკომოტივებით ჩაუდგნენ წინ და CSC-ის ექსპრესმა მართლაც ისეთი ტემპით შეუბერა, ვალვერდეს გარდა ბევრმა სხვამაც რომ ვერ გაუძლო, თუნდაც ყვითელი მაისურას მქონე კიმ კირხენმა და კიდევ ერთმა ფავორიტმა, იტალიელმა დამიანო კუნეგომ.

თავად CSC-ის კი ახლა ალბათ ის აქვს გასარკვევი, თუ ვისზე გააკეთოს აქცენტი, საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფ ფრენკ შლეკზე, თუ გუნდის აღიარებულ ლიდერ კარლოს სასტრეზე, ვინც ამ წუთისთვის მეექვსეა და ევანსს თითქმის წუთნახევრით ჩამორჩება.

შლეკსა და სასტრეს შორის გენერალურ კლასიფიკაციაში „ჯერმენ შიპოტლის" ამერიკელი კრისტიან ვანდეველდე, „გეროლშტაინერის" გერმანელი ბერნარდ კოლი და „რაბობანკის" რუსი დენის მენშოვი არიან. მენშოვი გასაგებია და ვანდეველდეც რომ ყოჩაღი ბიჭია, კარგა ხანია ცნობილი იყო, აი კოლის ლიდერთა შორის ყოფნა კი ნამდვილად გასაკვირია.

ძველი ლიდერი კირხენი უკვე მეშვიდეა და ალბათ, უფრო დაბლაც დაეშვება. აი, რიკარდო რიკოს კი ფავორიტებმა თვალი არ უნდა მოაშორონ. „სონი დიუვალს" ბრწყინვალე მთიელები ჰყავს, რომელთაც რიკოსთვის იდეალური საიერიშო პლაცდარმის შექმნა შეუძლიათ და თუ ჯანი მიჰყვა და ალპებშიც გაიქცა, 24 წლის იტალიელს ერთ ეტაპზე ძალუძს იმ ორწუთნახევრის ამოქაჩვა, რომლითაც ევანსს ჩამორჩება.

თუმცა, ალპებამდე ჯერ ოთხი რიგითი ეტაპი და საკმაო გზაა. მოვითმინოთ, კვანძის გახსნამდე ბევრიც აღარაფერი დარჩა.

ტურის მაისურები

„ტურ დე ფრანსის" ისტორია შორეულ 1903 წელს იღებს სათავეს და ლიდერის ყვითელი მაისურას ამბავიც მაშინდელია.

ყვითელი მაისურა მხოლოდ და მხოლოდ მრბოლის ლიდერს აცვია და ყველაზე ხშირად ეს მაისურა დიად ბელგიელ ედი მერქსს სცმია, ვინც ლიდერი 111 დღის განმავლობაში ყოფილა. ამ მაჩვენებლით მერქსს გვარიანად ჩამორჩებიან ლენს არმსტრონგი (80), ბერნარ ინო (79), მიგელ ინდურაინი (60) და ჟაკ ანკეტილი (52). ეს ის დიადები არიან, რომელთაც „ტური" ხუთჯერ და მეტჯერ მოუგიათ. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, მეტში მხოლოდ შვიდგზის ჩემპიონი არმსტრონი იგულისხმება, ხოლო მერქსი, ინო, ინდურაინი და ანკეტილი ხუთ-ხუთგზის ტრიუმფატორები არიან.

1933 წელს „ტურზე" საუკეთესო სამთო მრბოლისთვის თეთრი, წითელწინწკლებიანი მაისურა შემოიღეს. გასული საუკუნის 50-იან წლებში ესპანელი ფერნანდო ბაამონტესი შვიდჯერ გახდა „დიდი მარყუჟის" საუკეთესო მთიელი. შემდეგ, 70-80-იან წლებში ბელგიელი ლეო ვან იმპი მიუახლოვდა ესპანელის შედეგს, მაგრამ მხოლოდ მიუახლოვდა — ექვს წითელწინწკლებიან მაისურაზე გაჩერდა. ბაამონტესის მიღწევა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების გასაყარზე, ფრანგმა რიშან ვირანკმა გაიმეორა, რომელმაც 1994-97 წლებში ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა საუკეთესო სამთო მრბოლის წოდება და შემდეგ იგივე, კიდევ სამჯერ, 1999 და 2003-04 წლებში გაიმეორა.

ედი მერქსისთვის ყველაფერი იოლი და მარტივი იყო

1953 წლიდან „ტურზე" მწვანე მაისურა გამოჩნდა, რომელიც საუკეთესო სპრინტერს გადაეცემა. ამ ნომინაციაში რეკორდი გერმანელ ერიკ ცაბელს ეკუთვნის, ვინც 1996-2001 წლებში ზედიზედ ექვსჯერ გახდა მწვანე მაისურას მფლობელი.

1975 წელს კი „ტურ დე ფრანსზე" საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვის (25 წლამდე) განკუთვნილი თეთრი მაისურა გამოჩნდა. ეს მაისურა 1996-98 წლებში ზედიზედ სამჯერ დარჩა გერმანელ იან ულრიხს.

ჯამში კი „ტურის" მაისურების ყველაზე დიდი კოლექციონერი, ისევ და ისევ ედი მერქსია, ვისაც ხუთი ყვითელის გარდა, სამი მწვანე და ორი წითელწინწკლებიანი მაისურაც აქვს. 1969 წელს, სულაც უნიკალური შემთხვევა მოხდა და დიადმა ბელგიელმა არავის არაფერი დაუთმო — ყვითელიც სახლში წაიღო, წითელწინწკლებიანიც და მწვანეც.

რადგანაც „ტურ დე ფრანსის" მასურებზე გვქონდა საუბარი, ბარემ აქვე გაგაცნობთ, თუ რა მდგომარეობაა ამ წუთისთვის მიმდინარე „ტურზე" და ვინ ლიდერობს სხვადასხვა ნომინაციაში.

ყვითელი მაისურა

1. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო")	42 სთ 29 წთ 09 წმ
2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	.+1 წმ
3. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი")	+38
4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	+46
5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი")	+57

წითელწინწკლებიანი მაისურა

1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი")	77 ქულა
2. დავიდ დე ლა ფუენტე (ესპანეთი, „სონი დიუვალი)	65
3. სებასტიან ლანგი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	57
4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	56
5. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	46

მწვანე მაისურა

1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი")	131 ქულა
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია")	124
3. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი")	105
4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი")	96
5. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი")	92

თეთრი მაისურა

1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი")	42 სთ 31 წმ 38 წმ
2. ვიჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი")	+1 წთ 49 წმ
3. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, „კოფიდისი")	+4.18
4. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი")	+4.31
5. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+6.05

ბიორგი ჯანიშვილის ფოტო

დაგლოცეს და დაილოცეთ!

პატრიარქმა ლუბა
გოლოვინა დალოცა

ბიორგი ჯანიშვილის ფოტოები

გუშინ საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ოლიმპიური ნაკრები და ოფიციალური პირები საპატრიარქოში ისტუმრა და ლოცვა-კურთხევით დაულოცა გზა.

აგერ უკვე მეოთხე ოლიმპიადაა, რაც ჩვენი ოლიმპიელები გამგზავრებამდე პატრიარქს სტუმრობენ, ლოცვა-კურთხევას იღებენ და ოლიმპიადიდან მედლებით ბრუნდებიან.

ასე იყო 1996 წელს ატლანტის, 2000 წელს სიდნეის, 2004 წელს ათენის ოლიმპიადის წინ და ასეა ახლაც, პეკინის ოლიმპიადის წინ.

ეგებ, ჩვენმა ოლიმპიელებმა პეკინიდან იმაზე მეტი მედალი ჩამოიტანონ წინა ოლიმპიადებზე რომ მოუპოვებიათ.

ლომერ ჟორჟოლიანი, საბა
გავაშელიშვილი და ლაშა გუჯეჯიანი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge